სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 1 ივლისი 2008 №149 (3373) ფასი 50 თეთრი



კახა კალაძეს გული დაუკყრეს

ნიშნობა, დუბაი და ჯვრისწერა სამტრედიაში

ვინაა ჩვენი საბედო?

გაუთესავი დინამოს ელის, განთესილები კი ვიტ ჯორჯიას და ზესტაფონს

სად გადის ზღვარი სირცხვილსა და უსირცხვილობას შორის...

2:8, 0:7, 0:6 ქართული ანგარიშებია

სულ ბოლო კითხვის პასუხი: ხავი!

მაშ ასე, ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, ესპანეთი ჩემპიონი გახდა და გუშინ ბოლო კითხვასაც გაეცა პასუხი — ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ნახევარმცველი ხავი ერნანდესი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ხოლო უეფასავე ვერსიით ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო 23-ეული ასეთია: ბუფონი, კასილიასი, ვან დერ სარი; ბოსინგვა, ლამი, მარჩენა, პეპე, პუიოლი, ჟირკოვი; ალთინთოპი, მოდრიჩი, სენა, ხავი, ზირიანოვი, ბალაკი, ფაბრეგასი, ინიესტა, პოდოლსკი, სნეიდერი; არშავინი, პავლიუჩენკო, ტორესი, ვილია.

სანდრო კობახიძე

კანკავა-კობახიძემ ვარჯიში დაიწყეს

სანდრო კობახიძემ და ჯაბა კანკავამ გუშინ ვარჯიში დაიწყეს.

გეცოდინებათ, მათ მაისის ბოლოს, ესტონეთთან და პორტუგალიასთან სანაკრებო მატჩების წინ გერმანიაში მხრის ოპერაცია გაიკეთეს.

ბოლო დღეებში „დნიპროს" ქართველები სარეაბილიტაციო კურსს გადიოდნენ, ახლა კი გუნდის დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობენ, რადგან ძირითადები ავსტრიულ შეკრებაზე არიან.

„პირველმა ვარჯიშმა ნორმალურად ჩაიარა. მაინც გვეტყობა, რომ სასურველ ფორმაში შესვლამდე გარკვეული დრო დაგვჭირდება, მაგრამ არა მგონია, ეს დრო ძალიან გაიწელოს. სავარაუდოდ, ძირითადი გუნდი როგორც კი ჩამოვა, მათ შევუერთდებით. ვნახოთ, როგორ ვიქნებით. მწვრთნელმა ოლეგ ბროტასოვმა თვითონ გვირჩია, ოპერაცია გაიკეთეთო და არა მგონია, გაცდენილი დროის გამო უკან დაგვწიოს და ძირითად გუნდში აღარ გვათამაშოს" — გვითხრა სანდრო კობახიძემ.

ილია ნანოგაფვილი

ტავრიას ინტერსამზადისი

სიმფეროპოლის „ტავრიამ" ავსტრიული შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა. თუმცა იქამდე ზღვისპირელები რუმინულ „უნირეას" გეჯიბრნენ და 2:1 მოუგეს.

„ტავრიაში" დაბრუნებულმა ვასილ გიგიაძემ ბოლო 13 წუთი ითამაშა და აღსანიშნავია, რომ ყირიმელებმა გამარჯვება სწორედ ამ დროში მოიპოვეს, ოღონდ ჩვენებურს ამაში წვლილი არ მიუძღვის.

„ტავრია" 5 ივლისს ინტერტოტოს თასის გათამაშებაში ჩაერთვება და ვნახოთ, ითამაშებს თუ არა გიგიაძე მოლდოვური „ტირასპოლის" წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ციმაკურიძეს წინ უთხრეს

სრულად ითამაშა ლუგანსკის „ზარიაში" გიორგი ციმაკურიძემ, ლუგანსკელები ამხანაგურად მარიუპოლის „ილიჩევეცს" გაეჯიბრნენ და 3:1 მოუგეს.

უკრაინაში ამ მატჩმა საკმაო ინტერესი გამოიწვია, რადგან ორივე გუნდში ბევრმა ისეთმა ფეხბურთელმა ითამაშა, თავის დროზე მოწინააღმდეგე გუნდის მაისურა რომ ეცვა. ამის გამო უკრაინაში ეს მატჩი ამხანაგურად არ მოუნათლავთ.

ციმაკურიძე კარგად გაისარჯა, თუმც შეტევებში მეტი აგრესია მართებდაო, წერენ უკრაინელები.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სამივე ქართველი და გოგუას გოლი

მომავალ უქმეებზე რუსეთის პრემიერლიგა განახლდება და გუნდები ბოლო საკონტროლო მატჩებს ატარებენ.

ნალჩიკის „სპარტაკი" პიატიგორსკში ემზადება და გროზნოს „ტერეკს" 3:0 მოუგო. გროზნოელთა რბევას სათავე გოგიტა გოგუამ დაუდო.

იური კრასნოჟანმა ყველა ფეხბურთელი ათამაშა, მათ შორის, ალექსანდრე ამისულაშვილი და დავით სირაძე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ამხანაგური მატჩები

ოლბორგი 1:1 ოდენსე
ემდენი 1:1 არმინია

ნორვეგია

ტიპელიგა. XI ტური
ფრედრიკსტადი 2:1 ვოლერენგა

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. X ტური
ჰაკა 1:0 მარიეჰამნი
ინტერი 2:2 ტამპერე
კტპ 1:4 იარო
ვაასა 0:0 მიუპა
კუოპიო 1:2 ჰონკა

შვედეთი

სუპერლიგა. XIII ტური
იონკოპინგი 0:3 ანგელჰოლმი
ძვიდინგი 1:0 მიალბი
ვასბი 2:1 იორგრიტე

ოლიმპმა უცხოელები იუცხოვა

ალექსანდრე ბოგდანოვი

როგორც ჩანს, ვერც ერთმა უცხოელმა ფეხბურთელმა ვერ გაამართლა რუსთავის „ოლიმპის" მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილის იმედები და ქვემოქართლელები მზადებას ლეგიონერების გარეშე აგრძელებენ.

ორი კამერუნელი ლეგიონერი და თურქი მცველი გიოქან ბასლი რუსთავში უკვე აღარ არიან, თუმც არ არის გამორიცხული, მათი ადგილები სხვებით შეივსოს.

„იმ ლეგიონერებმა, რომლებიც დღემდე გავსინჯეთ, ვერ დააკმაყოფილეს ის დონე, რაც ამბიციურ კლუბს სჭირდება, ამიტომ მათთან თანამშრომლობაზე უარი ვთქვით. თუმც არის კიდევ რამდენიმე ვარიანტი და მათაც განვიხილავთ" — გვითხრა გუშინ ქასრაშვილმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ნოზაძე ტრანსფერზეა

ყარაგანდის „შახტიორმა" ყაზახეთის ჩემპიონატის მე-15 ტურში შინ „ენერგეტიკასთან" რომ წააგო (0:1), გუშინდელ „სარბიელში" გვეწერა.

ამ მარცხმა ისე აღაშფოთა კლუბის პრეზიდენტი, ქართული წარმოშობის ყაზახი გრიგოლ ლორჩა, რომ ნამატჩევს გასახდელში კრება მოაწყო და...

ტრანსფერზე არიან: ლაშა ნოზაძე, ედუარდ სერგიენკო და მურატ სუიუმაგამბეტოვი.

ეს ფეხბურთელები „შახტიორის" ლიდერებად ითვლებოდნენ, მაგრამ ახლა, სანამ რომელიმე კლუბი არ გადაწყვეტს მათ შეძენას, სარეზერვო გუნდში მოუწევთ ფორმის შენარჩუნება.

შეგახსენებთ, რომ ნოზაძემდე ყარაგანდული კლუბი მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა და თავდამსხმელმა ლევან მელქაძემ დატოვეს.

კახა შალამბერიძე

გამეზარდაშვილი: შევიდა და გაიტანა

ლატვიის ჩემპიონატში მორიგი ტური გაიმართა და პოტენციური ლიდერი შეიცვალა.

ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსი" სტუმრად უგოლოდ დაშორდა „მეტალურგსს" და იმის მიუხედავად, რომ კვლავაც პირველ ადგილზეა, დაკარგული ქულებით „სკონტო" უსწრებს.

ვლადიმერ დვალიშვილისა და დავით გამეზარდაშვილის გუნდმა სტუმრად 3:1 მოუგო „დაუგავას". ჩვენები მწვრთნელმა შეცვლაზე ათამაშა — გამეზარდაშვილი 46-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, დვალიშვილი 69-ედან, თუმცა მესამე გოლი ქართული გამოდგა: გამეზარდაშვილმა ამ სეზონში პირველი გოლი მიითვალა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ზესტაფონი იქ და აქ
იმერლები ინტერით იწყებენ





თურქულ შეკრებაზე მყოფი „ზესტაფონი" საახალსეზონოდ მზადებას აგრძელებს, იმავდროულად, ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარე სამუშაოები დასასრულს უახლოვდება — სტადიონზე უკვე დასრულდა 3 954 (საპატიო სტუმართა სექტორის გარდა) ინდივიდუალური სკამის დამონტაჟება.

სამუშაოთა უდიდესი ნაწილი ამ დროისთვის უკვე დასრულებულია. დარჩენილია მხოლოდ „კოსმეტიკური" სახის სამუშაოთა ბოლომდე მიყვანა...

გუნდი დაბინავებულია სასტუმრო „პატალიაში", რომელიც 80 კილომეტრითაა დაშორებული ანკარასგან და მთიან ზონაში, ზღვის დონიდან 1 250 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

სხვათა შორის, სწორედ ამ სასტუმროში ცხოვრობდნენ ზესტაფონელები შარშან ზაფხულშიც.

„ზესტაფონის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სასტუმრო „პატალიაში" გუნდს საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი. იმერელთა განკარგულებაშია მოედნები, სატრენაჟორო დარბაზი, საცურაო აუზები...

3 ივლისს დაგეგმილია პირველი საკონტროლო მატჩის გამართვა — იმერელთა მეტოქე აზერბაიჯანის ჩემპიონი, ბაქოს „ინტერი" იქნება.

კახა შალამბერიძე

ლუის ვან გაალის ორი ახალი თანაშემწე: პატრიკ კლუივერტი და შოთა არველაძე

სამსახურიდან ახლახან მოვედი

შოთა არველაძე: საქართველოც მინდა

შოთა არველაძე „ალკმაარის“ მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალის თანაშემწეა. ეს უკვე ოფიციალურად! შოთა გუშინ დილით ჩაფრინდა ჰოლანდიაში, კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ვარჯიშებზეც გაიყვანა გუნდი. „აი, ახლა მოვედი სამსახურიდან. უჩვეულო გრძნობა მაქვს“ — სიცილით გვითხრა შოთამ, გუშინ რომ დავუკავშირდით... ტყუპისცალთან ერთად, ვან გაალის თანაშემწედ, იცით, ვინ დაინიშნა? ვერ გამოიცნობთ. პატრიკ კლუივერტი — 18 წლის ასაკში „აიაქსში“ ამობრწყინებული ვარსკვლავი, რომელიც კარიერის დასალიერზე იყო, იმის ნახევარსაც ვეღარ თამაშობდა, როგორც კლუივერტს შეეფერებოდა, გასული სეზონი ფრანგულ „ლილში“ გაატარა და გუშინ ისიც ახალ სამსახურს შეუდგა. შოთამ პირველ რიგში ის გვითხრა, ჯერ ახლა ვიწყებ და ვერც წარმომიდგენია, გუნდს რომ ვავარჯიშებო...

— წნეხში, დაძაბულობაში მინდა ვიყო. ახლა კი ჯერ არ დამდგარა მაგის დრო, ახალი ვარ და წარმატებაც და წარუმატებლობაც ჩემი მუშაობის შედეგი იმდენად არ იქნება, როგორც სხვების.

— „ალკმაარი“ შარშან ამ დროს დატოვე, როგორც ფეხბურთელმა. ალბათ, ფეხბურთელებს ძალიან გაუხარდათ შენი ჩასვლა...

— რა თქმა უნდა. სიხარულით და ოვაციებით მიმიღეს. შემადგენლობა შარშანდელს აქეთ დიდად არც შეცვლილა, თითქმის ყველა ჩემი მაშინდელი თანაგუნდელი აქაა.

— ჰოლანდიურ ვებგვერდებზე წერია, არველაძეს განსაკუთრებით „ალკმაარის“ თავდასხმასთან ექნება მუშაობაო...

— ასეა. ეგაა, მატჩებისას სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის უფლება ჯერ არ მაქვს, ტრიბუნებზე ვიქნები და ტელეფონით ვიკონტაქტებ, ტაიმებს შუა კი შემეძლება გუნდთან ერთად ყოფნა. მოკლედ, მე ზემოდან მაკონტროლებელი ვარ. ლიცენზია არ მაქვს. ამ თვეში თბილისში ჩავაბარებ გამოცდას და B ლიცენზიას ავიღებ.

— „ალკმაარი“ შენთვის ყველაზე შინაური უცხოური კლუბია?

— არა, რატომ?! ყველგან კარგად ვგრძნობდი თავს და მიხაროდა თამაში, უბრალოდ, „ალკმაარში“ ჩემი მოსვლა ვან გაალის ფაქტორმა გადაწყვიტა.

— AZ-ს წინა სეზონი ჩაუვარდა და შეძლებს ისევ ჩემპიონობისთვის ბრძოლას?

— ფაქტია, გუნდი აღმავლობის გზაზეა. შარშანდელი სეზონი რომ ჩაუვარდა, ეს არაფერი. წინა წლებში ხომ „ალკმაარი“ ან მეორეზე გადიოდა, ან მესამეზე, ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშებდა, პლეიოფური სისტემა რომ არ ყოფილიყო. ხომ გახსოვთ, მეორეზე გავედით შარშან, მაგრამ პლეი ოფში მესამე ადგილსანმა „აიაქსმა“ მოგვიგო. მგონი, უკვე მოიხსნა პლეი ოფის სისტემა, მე ასე ვიცი.

— რომ შემოგთავაზონ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბში იმუშავებ?

— თუ შემომთავაზებენ, სიამოვნებით. ვნახოთ, ვინ იქნება მწვრთნელი. თუ ფედერაციის თანხმობა იქნება, იმ მწვრთნელს დაველაპარაკები. ხომ შეიძლება, არ უნდოდეს, ჩემი თანაშემწეობა? და თუ ენდომება, ძალიან კარგი.

— მწვრთნელი კი ჯერ არ ჩანს...

— ფედერაცია არ ჩქარობს, არადა, ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა და ვარიანტები გაცილებით მეტია. თუმც მაგდენი დროც არ არის — 2-3 კვირაში თუ მწვრთნელი გვეყოლება, კარგი იქნება.

— დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზეც გკითხავ. საერთო შეფასებას როგორ გააკეთებდი, რა სიახლეები დაინახე წინა ჩემპიონატების შემდეგ?

— კარგია, რომ ფეხბურთმა გაიმარჯვა. ესპანეთმა ძალიან ლამაზად ითამაშა და გვსიამოვნებდა მისი ყურება. გამოჩნდა ის, რომ ცენტრში შემოქმედი ფეხბურთელის გარეშე, რა სახელიანი ნაკრებიც უნდა იყო და როგორი თავდამსხმელიც უნდა გყავდეს, ვერ მოიგებ. ხომ ნახეთ, რა საშინლად ითამაშეს საფრანგეთმა, იტალიამ... გერმანიაც უსუსური იყო ფინალში. ამ დროს კი ესპანეთს ჰყავდა ხავი, ინიესტა...

— ჯგუფური მატჩების შემდეგ ვარაუდობდი ესპანეთის ჩემპიონობას?

— როდესაც გადამწყვეტი მატჩები იწყება, ყველას აქვს შანსი, მაგრამ ყველას გასაკვირად, ჰოლანდიამ პირწმინდად წააგო რუსეთთან. არ იყო ჰოლანდიის დღე, თორემ რუსეთს რა ესაქმებოდა ნახევარფინალში. ასევე ჩააგდო თამაში პორტუგალიამ: გერმანიასთან არაფერი გამოსდიოდა, არადა, ხომ აშკარაა, რომ გაცილებით მეტი შეეძლო. არ მიყვარს ისეთი ჩემპიონატი, სადაც შემოქმედებითი ფეხბურთი ვერ იმარჯვებს. კარგია, რომ ესპანეთმა მოიგო. ფეხბურთელის სილამაზე ისაა, მისმა მოქმედებამ ტრიბუნებზე ხალხი რომ უნდა წამოახტუნოს და სტადიონი ოვაციებისგან დაინგრეს. ამ ევროპის ჩემპიონატზე ეს იყო და მთლიანობაში, კარგი თამაშები ვნახეთ. მომეწონა...

ილია ნანოგაშვილი

ვინაა ჩვენი საბედო?

დინამო, ვიტ ჯორჯია და ზესტაფონი დღეს ევროგზას დაადგებიან

ახლა, როცა წლევანდელ ევროტურნირებზე ქართულმა საკლუბო ფეხბურთმა ტრადიციას არ ულალატა და სირცხვილი უკვე ჭამა, რას უნდა ველოდოთ? იმედია (ბევრისთვის ეს „იმედიაც“ მოსაბეზრებელი გახდა), თბილისის „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“ და „ზესტაფონი“ არ გაიმეორებენ „ლოკომოტივის“ შედეგს და ასე თუ ისე ღირსეულად გავლენ ევროპაში...

დღეს კი წილისყრაა — ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის საკვალიფიკაციების. უეფამ პირველ ეტაპზე განთესილ-განუთესავთა ცხრილი გამოფინა და აბა, ვნახოთ, ვინ შეიძლება შეგვხვდეს და ვინ არა...

შვეიცარიულ ნიონში, ჩვენი დროით, 14 საათზე საჩემპიონთალიგოდ ამოიღებენ ბურთულებს.

როგორც წესი, აქ საწყისი ორი ეტაპის წილისყრა გაიმართება.

პირველ ეტაპზე 28 გუნდი ითამაშებს, ანუ 14 წყვილი იქნება და „დინამო“ განთესილთა შორისაა.

„დინამოს“ ვერ შეხვდებიან: *„დინამო“ (ხორვატია), „არტმედია“ (სლოვაკეთი), „დომჟალე“ (სლოვენია), „გიოტებორგი“ (შვედეთი), „ანორთოსისი“ (კვიპროსი), „ტამპერე“ (ფინეთი), „ვენტსპილსი“ (ლატვია), „რაბოტნიჩკი“ (მაკედონია), „მოდრიცა“ (ბოსნია), „კაუნასი“ (ლიტვა), „შერიფი“ (მოლდოვა), „დროჰედა“ (ირლანდია), „ვალიური“ (ისლანდია).*

„დინამოს“ სავარაუდო მეტოქეები: *ბატე (ბელარუსი), „ლევადია“ (ესტონეთი), „ინტერი“ (აზერბაიჯანი), „დინამო“ (ალბანეთი), „ჰიუნიკი“ (სომხეთი), „აქტობე“ (ყაზახეთი), „ლინფილდი“ (ჩრდ. ირლანდია), „ლანელი“ (უელსი), „რუნავიკი“ (ფარერები), „დუდელანჟი“ (ლუქსემბურგი), „ვალეტა“ (მალტა), „ბუდუჩნოსტი“ (ჩერნიგორია), „სანტა კოლომა“ (ანდორა), „მურატა“ (სან მარინო).*

სავარაუდო მეტოქეებში სამი ისეთია, ადრეც რომ შეხვედრიან დინამოელები — ბატე-ს სულაც ორჯერ გადაჰყრიან, „ლინფილდი“ და „ლევადიაც“ უნახავთ.

განუთესავთა 14-ეულში ყველაზე ძლიერი, ალბათ, ბატე უნდა იყოს, რომელმაც შარშან მესამე საკვალიფიკაციო ეტაპამდე მიაღწია. ასევე მთლად სასურველი ვარიანტები არ არიან „ინტერი“, „აქტობე“, „ბუდუჩნოსტი“ და „ჰიუნიკი“.

პირველი ეტაპის მატჩები 22-23 და 29-30 ივლისს გაიმართება.

ახლა კი მეორე ეტაპი, სადაც პირველიდან გასულ 14 გუნდს იქ კიდევ 14 დახვდება. ცხადია, შედარებით სახელიანი კლუბები არიან: *„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია), „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი), „ბაზელი“ (შვეიცარია), „ფენერბაჰჩე“ (თურქეთი), „ანდერლეხტი“ (ბელგია), „სპარტა“ (ჩეხეთი), „დინამო“ (უკრაინა), „პარტიზანი“ (სერბეთი), „ვისლა“ (პოლონეთი), „ოლბორგი“ (დანია), „ბრანი“ (ნორვეგია), „რაპიდი“ (ავსტრია), „ბეითარი“ (იერუსალიმი, ისრაელი), მტკ (უნგრეთი).*

მეორე ეტაპის მატჩები 29-30 ივნისსა და 5-6 აგვისტოს გაიმართება.

ეს, რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, უეფას თასის წილისყრა კი, ჩვენი დროით, შუადღის ოთხის ნახევარზე დაიწყება. აქ მხოლოდ პირველი ეტაპის წყვილები გაირკვევა, სადაც გუნდები სამ ზონად — ჩრდილოეთი, ცენტრალურ-აღმოსავლეთი და სამხრეთი — არიან დაყოფილნი. „ვიტ ჯორჯია“ და „ზესტაფონი“ ცენტრალურ-აღმოსავლეთში არიან და განუთესავთა შორის მოხვდნენ.

განთესილი კი ეს 12 კლუბია: *„აუსტრია“ (ავსტრია), „ზალცბურგი“ (ავსტრია), „ჰერტა“ (გერმანია), „ბელინცონა“ (შვეიცარია), „დებრეცენი“ (უნგრეთი), „ლეხი“ (პოლონეთი), „ლეგია“ (პოლონეთი), „ვოივოდინა“ (სერბეთი), „დინორი“ (უნგრეთი), „უილინა“ (სლოვაკეთი), „ტრნავა“ (სლოვაკეთი), „ბორაცი“ (სერბეთი).*

აბა, ვნახოთ, ამ 12-დან რომელი ორია „ზესტაფონისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ საბედო. ყველაზე ძლიერი, ალბათ, ბერლინის „ჰერტაა“, რომელსაც ორი წლის წინ თბილისის „ამერმა“ დიდი ბრძოლა გაუმართა. ასევე მძლავრები არიან „აუსტრია“ და „ზალცბურგი“ — მით უმეტეს, რომ ავსტრიელებისგან ნამეტანი დაჩაგრულები არიან ქართული კლუბები.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დღეს ყველაფერი გვეცოდინება...

ილია ნანოგაშვილი



ანუკახა

საქართველოს ნაკრების კაპიტანი და იტალიური „მილანის“ ფეხბურთელი კახა კალაძე მალე ქორწილს გადაიხდის — მისი რჩეული გახლავთ ქართველი ლამაზმანი, მოდელი ანუკა არეშიძე. როგორც შევიტყვეთ, ამ მშვენიერ წყვილს ნიშნობა უკვე ჰქონდათ და ახლა დუბაიში იმყოფებიან. გავიგეთ ისიც, რომ ჯვრისწერა სამტრედიაში, კახა კალაძის აშენებულ ეკლესიაში ჩატარდება, რომელიც კახამ ძმის დაღუპვის მერე ააშენა. სარბიელელები ვულოცავთ კახა და ანუკას დაოჯახებას და ბედნიერებასთან ერთად ბევრი შვილის ყოლას ვუსურვებთ!

...ად გადის ზღვარი სირცხვილსა და უსირცხვილობას შორის...



შეასხით წყალი: ქართულ ფეხბურთს ევროპაში სამარცხვინოდ ეძინება

თბილისს „ლოკომოტივმა“ ლუქსემბურგულ „ეტცელასთან“ წაგების ტოლფასი ფრე ითამაშა. აუჰ, ეს რა მოხდაო, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით. ერთხელ შეიცხადებ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ ამგვარი შედეგები მეტისმეტად რომ მოგიმრავლდება, კანონზომიერებად იქცევა ხოლმე და უი, რა მოხდას ძახილი უადგილო ხდება.

ისე, რა გახდა მაინც ლუქსემბურგელებთან, მალტელებთან, ფარერელებთან ქულებისა და პრესტიჟის ფლანგვა?! ამ ამბავს კი სათავე 1996 წელს დაედო, როცა უეფას თასზე „დინამო“ „გრევენმახერს“ ფრედ ეთამაშა. კი, „დინამოს“ „გრევენმახერისთვის“ პირველი თამაში მოგებული ჰქონდა და შეეძლო, თავისთვის ლუქსემბურგში ფრის უფლება მიეცა, მაგრამ...

სანამ აზრს განვავრცობთ, მეორე შემთხვევაც გავიხსენოთ, 4 წლის წინ „ვიტ ჯორჯიამ“ პირველი მატჩის მერე (5:0) თავი სამშვიდობოს რომ დაიგულა და ფარერებზე ჩასულმა „ტორსჰავნთან“ სამი ბურთით წაგება „იკადრა“.

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია, როგორც ვთქვით, „დინამოცა“ და „ვიტ ჯორჯიაც“ მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდნენ, მაგრამ ხომ არსებობს ისეთი ცნებებიც, როგორიცაა უკვე ნახსენები პრესტიჟი, თავმოყვარეობა, სპორტული ჟინი, გნებავთ, პატივმოყვარეობაც...

სხვათა შორის, არსებობს წმინდა პრაგმატული გათვლაც. აღებული ქულები უეფას კოეფიციენტთა რეიტინგში დამატებული ქულებიცაა. ასეთ თამაშებში ქართული გუნდები ასე უაზროდ რომ არ კარგავდნენ ქულებს, თავად კლუბებისაც და მთლიანად საქართველოს კოეფიციენტებიც უფრო მაღალი იქნებოდა. სამაგიეროდ, არ იქნებოდა დღევანდელი სიტუაცია, როცა უეფას თასი პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე ორივე ქართული კლუბი განუთესავთა შორისაა. ეს კი ნიშნავს, რომ პირველივე ეტაპზე გავარდნის ალბათობა საკმაოდ დიდია. შესაბამისად, ვერ გავიზრდით კოეფიციენტს, გაისად ისევ განუთესავები ვიქნებით და ვიტრიალებთ ამ მოჯადოებულ და ჩაკეტილ წრეზე.

შედარებისთვის: დღეს ევროთასების წილისყრაა და განთესილთა შორის მოლდოველებიც არიან. ოდესმე გსმენიათ, რომ მოლდოვურ კლუბებს ციდან ვარსკვლავები მოუწყვეტავთ? ვეჭვობთ, მაგრამ ისინი მაინც განთესილნი არიან, რაკი „გრევენმახერებთან“ და „ტორსჰავნებთან“ ქულებს არ კარგავენ და ეს საკმაოდ საკმარისია საიმისოდ, რათა განთესილთა შორის იყვნენ და ერთი ეტაპის გადალახვის პრობლემა არ ჰქონდეთ. მეორე ეტაპზე კი, ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

მოსაგები თამაშების ვერმოგება ერთი დიდი პრობლემაა. არის სხვაც. დიდი და კატასტროფული ანგარიშებით წაგებული თამაშები.

ჩამონათვალში, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, სკურპულოზურად ამოვწერეთ ბოლო 15 წელიწადში (რაც ქართული კლუბები ევროთასებზე თამაშობენ) დიდი ანგარიშებით წაგებული და „გრევენმახერული“ მატჩები. სიას ერთი მოგებული თამაშიც მივამატეთ: 1993 წლის „დინამო“ — „ლინფილდი“ (2:1), რაკიღა უეფამ „დინამო“ მსაჯების მოსყიდვაში ამხილა — ქართული ევროსირცხვილიც ამ მატჩით დაიწყო.

2:8, 0:7, 0:6 — ნახეთ, რამდენი ასეთი თამაში დაგროვდა. ამ 15 სეზონში კი მხოლოდ ერთი იყო ისეთი, ქართული სირცხვილით რომ არ დასრულებულა. ეს 2006-2007 წლების სეზონი იყო, როცა „სიონი“ „ლევსკისთან“, „ამერი“ „ჰერტასთან“ და „ვიტ ჯორჯია“ „არტმედიასთან“ ისე დამარცხდნენ, ნაღდად არ შერცხვენილან.

ბოლოს კი ობიექტურობისთვის ესეც ვთქვათ: ჩამონათვალში რამდენიმე ისეთი მატჩიც გვაქვს შეტანილი, ქართულმა კლუბებმა დიდი ანგარიშით რომ წააგეს, მაგრამ მთლად სირცხვილადაც ვერ ჩავუთვლით (მაგალითად, „სელტიკი“ 4:0 „ბათუმი“, ან „სპარტა“ 3:0 „ტორპედო“), მაგრამ როგორც ვთქვით, დიდი ანგარიშით წაგებული თამაშები სკურპულოზურად ამოვიწერეთ.

გიორგი დარჯანია

2008-2009

ინტერტოტო	ეტცელა (ლუქსემბურგი) 0:0 ლოკომოტივი
	ლოკომოტივი 2:2 ეტცელა (ლუქსემბურგი)

2007-2008

ლიგა	ასტანა (ყაზახეთი) 3:0 ოლიმპი
უეფა	დინამო 0:3 რაპიდი (ავსტრია)
	რაპიდი (ავსტრია) 5:0 დინამო
ინტერტოტო	ტობოლი (ყაზახეთი) 3:0 ზესტაფონი

2005-2006

უეფა	ლოკომოტივი 0:2 ბანანცი (სომხეთი)
	ბატე (ბელარუსი) 5:0 ტორპედო
ინტერტოტო	ვიტ ჯორჯია 0:1 ლომბარდ პაპა (უნგრეთი)

2004-2005

ლიგა	ტორსჰავნი (ფარერები) 3:0 ვიტ ჯორჯია
	ვიტ ჯორჯია 2:8 ვისლა (პოლონეთი)
	ვისლა (პოლონეთი) 3:0 ვიტ ჯორჯია
უეფა	ლეგია (პოლონეთი) 6:0 თბილისი
	დინამო 0:4 სპორტინგი (პორტუგალია)
	პანიონიოსი (საბერძნეთი) 5:2 დინამო

2003-2004

ლიგა	ტირანა (ალბანეთი) 3:0 დინამო
უეფა	პუხოვი (სლოვაკეთი) 3:0 სიონი
	სიონი 0:3 პუხოვი (სლოვაკეთი)
	ლანსი (საბერძნეთი) 3:0 ტორპედო

2002-2003

ლიგა	სპარტა (ჩეხეთი) 3:0 ტორპედო
უეფა	ლოკომოტივი 1:4 კოპენჰაგენი (დანია)

2001-2002

უეფა	ბატე (ბელარუსი) 4:0 დინამო
	ბირკირკარა (მალტა) 0:0 ლოკომოტივი
	ლოკომოტივი 1:1 ბირკირკარა (მალტა)
ინტერტოტო	ტრუა (საფრანგეთი) 6:0 ვიტ ჯორჯია

2000-2001

ლიგა	ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 4:0 ტორპედო
უეფა	ვიტ ჯორჯია 0:3 ბეითარი (ისრაელი)

1999-2000

უეფა	აეკ (საბერძნეთი) 6:1 ტორპედო
	ლოკომოტივი 0:7 პაოკ (საბერძნეთი)
ინტერტოტო	კოლხეთი 0:4 ცემენტარნიცა (მაკედონია)

1998-1999

ლიგა	ვლაზნია (ალბანეთი) 3:1 დინამო
უეფა	კოლხეთი 0:4 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
	ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 7:0 კოლხეთი
	ტილბურგი (ჰოლანდია) 3:0 დინამო
	დინამო 0:3 ტილბურგი (ჰოლანდია)

1997-1998

ლიგა	ლევერკუზენი (გერმანია) 6:1 დინამო
უეფა	ბრაგა (პორტუგალია) 4:0 დინამო

1996-1997

უეფა	გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 2:2 დინამო
	მარგვეთი 0:3 სლიემა (მალტა)
	ბოავიშტა (პორტუგალია) 5:0 დინამო

1995-1996

თასების თასი	სელტიკი (შოტლანდია) 4:0 ბათუმი

1994-1995

უეფა	ტიროლი (ავსტრია) 5:1 დინამო

1993-1994

ლიგა	დინამო 2:1 ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)

საშინაო მატჩამდე „ვისლამ“ „ვიტ ჯორჯია“ თბილისში 82 გაანადგურა





ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი და კიდევ უფრო ცუდი

როგორი იყო ევრო 2008? უმეტესობის აზრით, საინტერესო, ინტრიგებით და დრამატიზმით სავსე, საინტერესო მატჩებითა და შეხვედრებით, მაგრამ ასეთი საერთო ფონის მიუხედავად, არის ხალხი, რომელიც თავს უარყოფითის ძებნით ირთობს. ასეთია, მაგალითად, ინგლისური გაზეთი „სანი“ და მისი რუბრიკა „ათი ყველაზე“, რომელიც ამჟამად ჩემპიონატის ათ ყველაზე დიდ იმედგაცრუებას გვითვლის.

საინტერესოა, რომ წერილის შესავალში გაზეთი წერს, სახელოვან ვარსკვლავთა თამაშის თვალსაზრისით, ამ ჩემპიონატს რაც მალე დავივიწყებთ, მით უკეთესია, ხოლო თავად ამ ვარსკვლავებს ცივ გონებაზე დაჯდომა და მომხდარის გაანალიზება მოუწევთო.

რამდენად სწორია გასული ჩემპიონატისთვის ცუდი თვალით შეხედვა? იქიდან გამომდინარე, რომ არსებობის უფლება ნებისმიერ შეხედულებას აქვს, სწორია, რატომაც არა? და... გასაგებია, რადგან „სანის“ ქვეყანას ევრო 2008-ზე თავიანთი გუნდი „ვერ ჰყავდა“, სხვათა კარგი ამბავი კი...

მაგრამ, ასეა თუ ისე, ათი ყველაზე დიდი იმედგაცრუების გაცნობა მაინც საინტერესო საქმე უნდა იყოს და ჩვენც რა გვენაღვლება, გავეცნოთ.

10 ბლექაუტი

ბლექ — შავია, აუტი კი ყველა ქომაგმა ვიცით რაც არის — რაღაცის მიღმა დარჩენა, ყოფნა, გადავარდნა და ასე შემდეგ. აი, ამ ორს ერთად კი ინგლისელები იმას ეძახიან, ჩვენთან მთელი 12-13 წლის განმავლობაში რომ იყო — უსინათლობას.

ერთი სიტყვით, „სანის“ ვერსიით, იმედგაცრუებათა შორის ბოლო ადგილზე ვენაში ატეხილი ქარაშოტის გამო სატელევიზიო სიგნალის გათიშვა და პირველი ნახევარფინალური მატჩის სამი მონაკვეთის არნახვა იყო.

9 ქარიმ ბენზემა

ფრაგნგი ყმაწვილი ევროპის ჩემპიონატზე ჩავიდა, როგორც აღმოჩენა, ვარსკვლავიჭუნა, რომელმაც უნდა გაიბრწყინოს, მაგრამ ბენზემამ უსახურად ითამაშა და თავისი ქვეყნის არაფრისმთქმელ გუნდსაც ვერაფრით დაეხმარა.

8 ადრიან მუტუ

„ჩელსის“ ყოფილ ვარსკვლავს იმ იარაღად მიიჩნევდნენ, რუმინეთის ნაკრებს „სიკვდილის“ ჯგუფში სენსაციურ შედეგამდე რომ მიიყვანდა, მან კი იტალიასთან პენალტი ვერ გაიტანა და გუნდი მეოთხედფინალს მიღმა დატოვა. შემდგომ ტურში რუმინელებს და მის ლიდერს ჰოლანდიამაც ავჯობა.

7 მასპინძლები

ავსტრიაცა და შვეიცარიაც მასპინძლები გახლდნენ და გარდა იმისა, რომ კენჭისყრისას განთესილნი იყვნენ, მათგან მეტს ელოდნენ. მათი ქომაგების სამწუხაროდ, ავსტრიამ ერთადერთი ფრე მოახერხა, შვეიცარიამ კი ჯგუფური ეტაპის მესამე შეხვედრაში, უმოტივაციო პორტუგალიის მეორე შემადგენლობას მოუგო.

6 მარიო გომესი

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯგუფის თამაშები ათი კაცით ჩაატარეს, გერმანელებმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს — წერს „სანი“, რომელიც გომესს „კაცად“ არ მიიჩნევს. კიდევ კარგი, მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა მეოთხედფინალში ის სკამზე დასვა.

5 ტიერი ანრი

ტიერი ანრი ისეთ ვარსკვლავად არის აღიარებული, რომ ვალდებული იყო, თავის გუნდს მეტად მიხმარებოდა. ჰოლანდიის კარში გატანილმა მისმა გოლმა არავინ არ უნდა მოატყუოს — იტალიასთან დე როსის საბედისწერო ჯარიმა სიმბოლურად სწორედ მისგან აისხლიტა და ისე შევარდა საფრანგეთის ნაკრების კარში.

4 საბერძნეთი

ევრო 2004-ის ჩემპიონი ჯგუფურ ეტაპზე სამივე შეხვედრაში დამარცხდა....

3 ერიკ აბიდალი

მსოფლიოს ჩემპიონთა წინააღმდეგ საბედისწერო შეხვედრაში მაინცდამაინც გამარჯვება უძნელესი საქმეა, მაგრამ თამაშის დასაწყისშივე ლუკა ტონის წაქცევა, პენალტის „აკიდება“ და წითელი ბარათის მიღება, მაინცდამაინც გონივრული საქციელიც არ გახლდათ.

2 პეტრ ჩეხი

თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ჩეხეთი თურქეთს 2:1-ს უგებდა და მეოთხედფინალამდეც აღარაფერი აკლდა, „ჩელსის“ გოლკიპერის, პეტრ ჩეხის უხეში შეცდომა რომ არა. მსაჯის წამატებულ წუთებში კი თურქებმა გამარჯვების გოლიც გაიტანეს.

1 ლუჩა ტონი

იტალიელი ვარსკვლავი ევროპის ჩემპიონატზე „ბაიერნში“ გატარებული დიდებული სეზონის ფონზე ჩავიდა — ტონიმ ბუნდესლიგაში 31 გოლი გაიტანა. მისდა სამწუხაროდ, ფორვადმა ჩემპიონატი უამრავი ვერგამოყენებული მომენტით დატოვა. ოთხ თამაშში მის წვალებას შედეგი არ მოჰყოლია.

პაპუნა კედია





ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ



ᲛᲘᲡᲘ პორტრეტი ეხატა ან რა ეწერა მოზეიმე სერხიო რამოსს მაისურზე? — ეს კითხვა ევრო 2008-ის ფინალის მეორე დღეს რამდენჯერმე გაისმა.

მოგახსენებთ: ესპანეთის ნაკრების მკვლელმა ევროპის ჩემპიონობით გამოწვეული სიხარული გარდაცვლილ მეგობარს, ანტონიო პუერტას გაუზიარა. „რეალის" გარსკვლავმა შარშან, ავტისტოს მიწურულს, მოედანზე, თამაშის დროს გარდაცვლილი სევილიელი ფეხბურთელი ვენის „ერნსტ ჰაპელზე" გაიხსენა. მაისურზე წარწერა კი დადადებს: შენ მუდამ ჩვენთან ხარ.

ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲢᲝᲠᲠᲔᲡᲛᲐ ევრო 2008-ის ფინალში გამარჯვებას ახდენილი ოცნება უწოდა. „ლიგერპუელის" რეაქტიული ფორვარდისთვის კონტინენტის ჩემპიონობა გადამწყვეტ მატჩში გერმანელთა კარში გატანილი გოლით დამშვენდა. 24 წლის გარსკვლავის რეაქტიულმა გარბენმა მისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს 44 წლის საწადელი აუხდინა — დიდი ტიტული მოუტანა.

„ეს ჩვენი თაობის პირველი ტიტულია. იმედი მაქვს, რომ მას ბევრი მოჰყვება. ამიერიდან ამბიციურები უნდა ვიყოთ. წინ მსოფლიოს ჩემპიონატია. ბოლოს და ბოლოს, საამართალი აღსრულდა და შეჯიბრებაში გაიმარჯვა გუნდმა, რომელიც ყველაზე კარგ ფეხბურთს თამაშობდა. ეს გამარჯვება მთელი გუნდისთვის და მთელი ესპანეთისთვის დიდებული გახლდათ".

შეგახსენებთ, რომ ფინალის ერთადერთი გოლი ტორესმა პირველი ტაიმის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე ხავის პასით გაიტანა.

„ხავიმ დიდებული პასი მომაწოდა. გერმანელმა მცველმა (ფილიპ ლამმა) კი ზედმეტი თავდაჯერებულობა გამოავლინა. მას კარის ხსნა ლემანისთვის არ უნდა დაეტოვებინა. მოკლედ, ყველაფერი ბრწყინვალედ აეწყო".

ასე და ამგვარად, ტორესმა კარიერაში პირველად მოიპოვა „დიდი ოქრო", თუმცა ესპანეთის ნაკრების მაისურით ფინალებში გოლების გატანა მისთვის უცხო სულაც არ გახლდათ:

2001 წელს მან 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთს პენალტი გაუტანა და

ᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ



ოქროს მედალი მოიპოვა, ერთი წლის შემდეგ კი გერმანელებს უკვე 19 წლამდელთა ფინალში გაუტანა გადამწყვეტი ბურთი — ისევ 1:0.

ᲗᲐᲗᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ

ᲕᲘᲕᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐ!

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, ესპანეთის ნაკრებმა ბურთის თვალისმომჭრელი გათამაშებით ევრო 2008-ის ფინალი ფიესტად აქცია და დამსახურებულად დაამარცხა გერმანია, 1:0.

ფერნანდო ტორესის მიერ 33-ე წუთზე გატანილმა საუცხოო გოლმა კი ერთიორად დაამშვენა ჯადოსნური ფინალი, რომლის ანგარიში იოტისოდენადაც არ ასახავს ამ მატჩში ესპანელთა უპირატესობას.

დიდ შეჯიბრებაზე კარგა ხნის წინარეს გამარჯვებამ მადრიდსა და ესპანეთის სხვა ქალაქებში ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. მათი ზეიმი დილამდე გაგრძელდა. ისინი იძახდნენ „ვივა ესპანია" და ხელში წითელ-ყვითელი დროშები და ბანერები ეჭირათ.

ის, რომ ვენის სტადიონზე გერმანელები ბოლომდე იბრძოლებდნენ, ყველას კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ ვეტერანი მწვრთნელის, ლუის არაგონესის გუნდის ხავერდოვანი ტექნიკის და მწყობრი პასების წინაშე მათ ვერაფერი გააწყეს.

საბოლოოდ ესპანელებმა 12-ჯერ დაარტყეს მოწინააღმდეგის კარში, გერმანელებმა კი მხოლოდ სამჯერ. ესპანელთა დარტყმებიდან შვიდი მოხვდა კარის ჩარჩოში, გერმანელთა დარტყმებიდან კი ერთი. ასეთი გახლდათ სტატისტიკა, რომელიც იბერიელთა ტრიუმფს უფრო მეტყველად ადწერს.

და, როდესაც უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ესპანელების კაპიტანს, იკერ კასილიასს თასი გადასცა, „ერნსტ ჰაპელის" სტადიონზე ათასობით ესპანელი ფანი თავგადაკლულ ზეიმს მიეცა.

არადა, ერთ-ერთ უდიდეს საფეხბურთო ერად აღარებულ ესპანელებს, რომელთაც მსოფლიოს უსასრულო რაოდენობის ნიჭიერი ფეხბურთელი აჩუქეს, ბოლო დიდი წარმატება 1964 წელს ჰქონდათ. მაშინაც ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. 1984 წელს კი იმავე შეჯიბრების ფინალში იყვნენ და საფრანგეთთან დამარცხდნენ.

ᲛᲮᲘᲢᲕᲠᲔᲑᲘ ᲬᲐᲮᲔᲕᲐᲠᲓᲐᲪᲕᲘᲓᲐᲜ

მაგრამ, ავსტრიასა და შვეიცარიაში გამართულ სამკვირიან ტურნირზე მათ ბადალი არ ჰყავდათ. ესპანელთა ნახევარდაცვის შემოქმედნი, ხავი, ანდრეს ინიესტა, დავიდ სილვა და სესკ ფაბრეგასი ბურთის დიდებული გათამაშებით ნეიტრალურ მაყურებელს სიამოვნებით ყლინავდნენ.

და ფინალში თვალსაჩინო კონტრასტის მოწმენი შეეიქენით: გერმანელთა შესანიშნავი ეიხილეთ ტრადიციული სოლიდური ფეხბურთი, ესპანელებმა კი ალდოთი და ფანტაზიით გაჯერებული ფეხბურთი ითამაშეს.

და კიდევ, გაწსნავება ფერნანდო ტორესმა განაპირობა. ამ დიდებულ თავდამსხმელს შეჯიბრების განმავლობაში თითქოს რადაც არ ეწყობოდა, გოლიც მხოლოდ ერთი ჰქონდა გატანილი, მაგრამ ფინალში, ხავის პასზე სინათლის სიჩქარით შეეარდნილმა ფილიპ ლამს შემოუბიჯა, ბურთს ფეხი წაკრა და იენს ლემანის კარში შეაგდო.

ეს გახლდათ დიდებული შეჯიბრების დიდებული ფინალის ღირსი დიდებული გოლი.

„მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შემდეგ ყველაფერზე მნიშვნელოვანი ევროპის ჩემპიონობაა — თქვა თამაშის შემდეგ ტორესმა — ახლა ჩვენი გამარჯვებით უნდა დავტკბე. ჩვენი გამარჯვება ფეხბურთისთვის იყო კარგი".

გერმანია, ისევე, როგორც ნახევარფინალში რუსეთი, ესპანელებმა უბრალოდ განაიარღვნა. მართალია, გერმანელების კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა კუნთის ტკივილს სძლია და ფინალში მაინც ითამაშა, მაგრამ მატჩს თავი სრულყოფილად ვერ დაატყო. მოგვიანებით მას ქვეყნის კანცლერმა ანგელა მერკელმა მიმართა დამამშვიდებელი სიტყვებით, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და დედოფალი სოფია კი თავიანთი ეროვნული გუნდის ტრიუმფს მიესალმნენ, ხოლო ტორესის გოლს ფეხზეც კი წამოუდგნენ.

მატჩის შემდეგ გამარჯვებული ნაკრების ფეხბურთელები მოწმდნის გარშემო კონგას ცეკვავდნენ და ამაყად გაიძახოდნენ: „ვივა ესპანია"!

ᲞᲝᲚ ᲠᲔᲓᲤᲝᲠᲓᲘ ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘ





გიო ახვლედიანის სვეტეული

აბა, რა...

ეგრეც იყო და ეგრეც გამოვიდოდა. ესპანეთი, აბა, ვინ?

სულ ქოქოლას მაყრიდნენ გერმანიის თითოეული გამარჯვების შემდეგ: ვიძახდი, არა-მეთქი, ზაპასი არა აქვთ, რეზერვი არ არის. რაც იციან, იციან, თუ რაღაც შეგეშალა, თან უხეშად იყენებენ. გაჩერებული ... იციან. რაც გამოსდით, ის გამოსდით. ორმეტრიანები არიან. მეტი არაფერი. ვინ არის გერმანიის რეზერვი? კურანი, ოდონკორი, გომესი. ესპანეთის რეზერვი კიდევ არის ფაბრეგასი, ხავი ალონსო და გუისა. სხვაობა აღარ არის?

ესპანეთი თამაშობდა მთელი ჩემპიონატი. ერთს და კარგს და გასდიოდა. იტალიასთან გაუჭირდა. იტალიას რომ გაუჭირდება, ვისაც ეთამაშება, იმასაც ძალიან უჭირს. თუმცა, ესპანეთს იტალიასთან მოგება გაუჭირდა, ფრე კი არა. ეგ არის და ეგ.

ევროპის ჩემპიონატი კარგი შეჯიბრია, მაგრამ იქ ბრაზილია და არგენტინა არ არიან. ეგ არაფერი. ბრაზილიელი ლამის ყველგან იყო. თითქმის ყველა გუნდში, ყველაზე მთავარი კი ესპანელების ბრაზილიელი იყო. ახლა ისევ არ დამაყაროთ ქოქოლა. ჩემი ჭკუით, ამ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელია მარკოს ანტონიო სენა და სილვა. სენა, მოკლედ რომ ვთქვათ, სენაა, რა. სენა რომ არ ყოფილიყო, ესპანეთი ეგეთი ძლიერი ვერ იქნებოდა. ცნობილია, ასეთი ლამაზი გუნდების თამაში თავიანთ ნახევარზე, ჰოდა, ამ საქმეში მთავარი სენა იყო — გადავიდოდნენ, სენას შეასკდებოდნენ. გადმოვარდნილ ბურთს სენა იღებდა. შეტევას სენა იწყებდა.

32 წლის ბრაზილიელი „ვილიარეალში“ ექვსი წლის წინ გამოჩნდა იმ ტალღებზე, რომელმაც ევროპელები სან პაულოს თანამგზავრი ქალაქის, სან სანკაეტანოს უნიკალურმა კლუბმა დააინტერესა. რა თქმა უნდა, მარკოს სენას არანაირი შანსი არ ჰქონდა ბრაზილიის ნაკრებში თამაშისა, ისევე, როგორც უამრავ საუცხოო ბრაზილიელ ფეხბურთელს. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს ამბავი, მაგრამ ესპანეთის მოქალაქეობა მან სწორედ იმიტომ მიიღო, რომ ლუის არაგონესს ნაკრებში ეთამაშებინა.

ჰოდა, სენა და გარშემო ეს ზღაპრული, მსუბუქი ბიჭები, რომლებიც ფეხბურთს გრეხეტბოლივით თამაშობენ. სხვის საჯარიმოში რომ გრეხეტბოლი გამოგივა, მეტი რაღა გინდა? აჰა, რა სიმსუბუქე, რა ამბავი. ეს სიმსუბუქე ხომ უმძიმესმა კაცმა, ლუის არაგონესმა შექმნა. ესეც ფეხბურთის ერთ-ერთი საოცრებაა. კაცი რომ ასეთ ფეხბურთს ათამაშებს საოცარ ბიჭებს, როგორ იტყვი, რომ ბოღმა და ყიამყრალი კაცია?

ადრე სულ ამბობდნენ, ესპანეთის ნაკრები ესესერის ნაკრებს ჰგავსო, გალისიელებს, კატალონიელებს, კასტილიელებს, ბასკებს, საერთო ენის გამონახვა უჭირთო. იცით, რა? ფრანკო ოცდაათ წელიწადზე მეტია, აღარ არის. ეს ბიჭები კი მაშინ დაიბადნენ, როცა ესპანეთი თავისუფალი იყო. მგონი, ყოფით დონეზე ასეთი პრობლემა არ არსებობს, ნაციონალისტები კი არ დაილევიან.

ერთ რამეზე მწყდება გული, რომ ჰოლანდია იმტაზე ყოფილიყო. ჰოლანდია — ესპანეთი მაგარი ნახევარფინალი იქნებოდა. პრაზნიკი, რა. ოღონდ, ჰოლანდიაც აწყვეტილი. ფინალიც ეს იქნებოდა. ოღონდ ნახევარფინალში.

კარგი იყო, ვინც მოიგო, იმან აჩვენა, რაც არის ფეხბურთში საუკეთესო.

ხავი და ინიესტა, ზემოდან გომესი, აქედან სერხიო, იქიდან... არა, გრეხეტბოლს კი არა, მგონი, პოულს თამაშობდნენ.

ყოჩაღო მოხუცო!

ჩემი შექება რა ჯანდაბად გინდა. მადლობა მალობას ჯობია; MUCHOS GRACIAS, REYES DE EUROPA!



იენს ლუმანი

მსაჯებმა დაგვწვესო

ბევრის აზრით, ევრო 2008-ის ფინალში ესპანეთმა გერმანიას შთამბეჭდავად მოუგო, თუმცა დამარცხებულთა გოლკიპერი იენს ლემანი ცხელ გულზე მსაჯობაზე ლაპარაკს ამჯობინებს და აცხადებს, რომ თამაშის შედეგზე გავლენა იტალიელი არბიტრის, რობერტო როზეტის გადაწყვეტილებებმა მოახდინა. მეტიც, ლემანმა როზეტის სიმპათია-ანტიპათიაშიც კი დასდო ბრალი.

„მე თუ მკითხავთ, ყველაზე გულსატკენი მსაჯობა იყო. არბიტრს ჩვენ, გერმანელები აშკარად არ მოვწონდით. ეს უკვე მესამე ევროპული ფინალია, როდესაც მსაჯთა არაობიექტურობას ვაწყდები.

ლემანის განრისხება ესპანელი ნახევარმცველის დავიდ სილვას და ლუკაშ პოდოლსკის ეპიზოდმა გამოიწვია, როდესაც დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს ესპანელმა გერმანელს თავი მიარტყა. როზეტიმ სილვა ამ „რქენისთვის“ დასაჯა.

„როზეტი ძალიან ქედმაღალი და მიკერძოებული იყო. მან აშკარად დაინახა, რომ ესპანელმა პოდოლსკის თავი მიარტყა, მაგრამ წითელი ბარათი არ ამოიღო. შემდეგ, უშუალოდ თამაშის დამთავრების წინ ჩვენ კარგი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ მსაჯმა დაუსტვინა და დაგვაჯარიმა. თავად ესპანელი ფეხბურთელიც კი გაოცდა, რატომ დაუსტვინაო. ამ ყველაფერმა ძალიან იმოქმედა“.

პაპუნა კედია

ევრომ 728 მილიონი მოიგო

გავრცელებული ინფორმაციით, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატიდან მიღებულმა შემოსავალმა 728 მილიონ ევროს მიუკაკუნა. უეფას გენერალური მდივნის დევიდ ტეილორის თქმით, გაიზარდა ხარჯიც, მაგრამ ევრო 2004-თან შედარებით, ამ ევროპის ჩემპიონატმა 5 პროცენტით უფრო დიდი მოგება დატოვა.

პირველი ბრაზილიელი

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი მარკოს სენა პირველი ბრაზილიელია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ნატურალიზებულმა ბრაზილიელმა მთელი ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ესპანელთა ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. სენა „ვილიარეალის“ ნახევარმცველია და მას რამდენიმე გრანდი უტრიალებს.

არეულობა მადრიდში

ესპანეთის გაჩემპიონების შემდეგ, ცხადია, მთელ ქვეყანაში დიდი ზეიმი იყო. მადრიდში 65 ათასი ადამიანი გადადიოდა ყირაზე, რაც მშვიდობიანად არ დასრულებულა. ქომაგთა გარკვეულმა ჯგუფებმა ერთმანეთში იჩხუბეს კიდეც. საქმეში სამართალდამცავები ჩაერივნენ და ვითარება დაასტაბილურეს. დაიჭრა 90 ადამიანი, აქედან 14 საავადმყოფოში მოხვდა, ერთი მძიმე მდგომარეობაშია.

ტერორის საფრთხე

მატჩები და ევრო 2008-სთვის მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები ტერორისტების თავდასხმის საფრთხის ქვეშ ყოფილა. ამის შესახებ შვეიცარიის თავდაცვისა და, შეთავსებით, სპორტის მინისტრმა სამუელ შმიდმა განაცხადა.

„მუქარა მივიღეთ და ამის გამო პოლიცია, მესაზღვრეები და საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები ორმაგად გავააქტიურეთ. საბედნიეროდ, სერიოზული პრობლემები არ შეგვქმნია“ — თქვა შმიდმა.

ნიჰათს დაისვენება გამოუწერეს

თურქეთის ნაკრების თავდამსხმელი ნიჰათ კავეჩი მომავალის სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. „ვილიარეალის“ ფეხბურთელმა ტრავმა ხორვატიასთან მეთხედფინალურ შეხვედრაში მიიღო და ექიმების თქმით, ოთხი-ხუთი თვე მოუწევს უქმობა.

ძოძი ანდელაძი

ფოტოლიზატორი

1X2 პმფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— უეჭველი ერთიანის კუშივით ყოველდღე რო კლებულობ, ვერ ამჩნევ? თან ლუის სესარ მენოტივით რამდენს ეწევი ტო!

ბოლსაც რაღაცნაირად, 4-2-3-1-ივით უშვებ.

მაგ სქემით ვინღა ეწევა ეხლა. ესპანეთივით, მოკლე პასებით უნდა გამოუშვა...

ისე, შენ რო არგენტინის ტრენერად დაგნიშნონ, ერთი წლის ჯამაგირი პაპიროსში კი არა, ზაეიგალკებში არ გეყოფა...

— შენა, ძმაო, იქსდვაში ხო არ გეშლები? და ვაფშე, ფუტბოლი და ბოლი ერთმანეთისგან რითი განსხვავდება, იცი?

— რაა? მოდი ტო, ჯერ დაეგდე, სკამებშუა ნუ მუსირებ და სლავენ ბილიჩივით ნუ იგრიხები. მე თუ არ ვიცი, გერმანიის ფორით მოგება ათას დოლარში შენ რატო გეწერა?

— ინფორმაციამ დაიგვიანა, ძმაო, მერელა გაიასნდა, რო...

— რა გაიასნდა, ჩაწყობილიაო?

— ცვეტში ეგრე არ იყო, რო?

— რა იყო ეგრე, ტო?! შენ არ მეუბნებოდი, თურქების ჯადოქრები გერმანელებმა დაიქირავესო?

— ნუ, ეხლა... რა პონტი გაიჩითა, იცი ძმაო? ეგ ამბავი მე შაბათს დამიზვანოკეს ვენიდან. კვირას გავმაზე და ზედ თამაშის დაწყებამდე ვენიდან ზარი მოვიდა...

— რაო?

— ჯადოქრებმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარეს და კონტრაქტი ჩაიშალაო. არადა, კი არ ჩაიშალა, ლიჩნად ანგელა მერკელი მისულა ლიოვთან, ესპანეთს უნდა დაუწვეთო...

— შანსი არაა, ტო!

— ვა! გეუბნები-მეთქი, მიცემული თამაში იყო. დაჟე ბალაკის ტრავმაზე რო ბაზრობდნენ დო მატჩა, ხო გახსოვს?

— მერე?

— ვითომ ვარჯიშზე ფეხი იტკინაო. რა ვარჯიშზე, ძმაო. აი თურმე რა მომხდარა: მერკელი რო მიაწვა, უნდა დაუწვეთო, მიშა ბალაკი პროტივზე დამდგარა.

— ესე იგი, მიშას გერმანიის მოგება ეწერებოდა...

— ჰოდა, პროტივზე რო დამდგარა, კანცლერს ქუსლიანი ტუფლით ბალაკისთვის პადკატი გაუკეთებია.

— და მაინც, რა პონტში მიაცემინა თამაში, ვერ მოვწვი...

— ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ანგელა მერკელის... შვილი ყოფილა...

— ზნაჩიტ 754-ე სერიის დასასრული?

— სერიაზე გამახსენდა: დღეს „სირიუსი" — „ბუნკეფლო" ბეტონი ნიჩია არა გგონია?

ᲙᲣᲨᲘ ᲙᲝᲜᲓᲐᲠᲘᲐ

ჩემი ბილეთი:
უიმბლდონი. წყვილები.
001 მ. ბრაიანი/ბ. ბრაიანი — მ. პუიოლი/ს. ვენტურა
შედეგი: 2,5 და ნაკლები ბრაიანი
სავარაუდო მოგება: შარაპოვას შორტი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ ვინ იყო შავშარვლიანი ქალი, ესპანელი ფეხბურთელების შეცვლებზე კადრში რომ ჩნდებოდა.

114140 *

ᲪᲮᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲚᲐᲨᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲔ?

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗ ᲣᲙᲑᲘᲜᲐ



ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ თითქმის უშანსოდ დამარცხების შემდეგ, გერმანული მედია ნაკრებზე ბჭობს, წაგების მიზეზებს იკვლევს და არც გამარჯვებულთა საქებარ სიტყვებს იშურებს.

„ოცნების დასასრული — დაწერა „კიკერმა" — გერმანიის ნაკრებს იოახამ ლიოვის თავკაცობით არ აღმოაჩნდა ძალა და უნარი საიმისოდ, რომ იკერ კასილიასის კართან რაიმე ღირებული შეექმნა. ამიტომაც წავაგეთ ჩვენ, ესპანეთი კი ჩემპიონი გახდა".

„ჩვენი ოცნებები ერთმა დარტყმამ დაამსხვრია — ეს კი „ბილდია" — ცხვირს ნუ ჩამოუშვებთ, ბიჭებო. სამწუხაროდ, ზაფხულის ზღაპარი-2008 ჩვენთვის ბედნიერად არ დასრულდა. „შვაინი" მოედანზე ტირის, ლიოვი აწყნარებს, მათ გარშემო კი მოზეიმე ესპანელები არიან.

ღირსეულად წავაგეთ და გილოცავთ, ესპანეთო! თქვენ დაიმსახურეთ გამარჯვება, რადგან საუკეთესო შეტევა (12 გოლი) და საუკეთესო დაცვა (3) გყავდათ.

მაგრამ მაინც — მადლობლები ვართ იოახიმ ლიოვის და მისი გუნდის. მარცხის მიუხედავად ვამაყობთ ბუნდესნაკრებით. ჩემპიონატის დაწყებამდე ვინ იტყოდა, რომ ფინალში გავიდოდით?

ჩვენ უფრო შორს წავედით ამ ტურნირზე, ვიდრე საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია და ინგლისი, რომელიც საერთოდ ვერ მოხვდა ჩემპიონატზე".

„ბილდშივე" წაგების მიზეზებზე ეწერა: „ცენტრალურ მცველებს სისწრაფე აკლდათ. მერტეზაკერი და მეცელდერი გუნდის ყველაზე სუსტი რგოლი იყო. ჰოდოლსკი, შვაინშტაიგერი და კლოზე ვერ უტევდნენ.

შეტევაში მსოფლიო კლასის ფეხბურთელი არ გვყავს. გარდა ამისა, ესპანელები „რეალში" და „ბარსელონაში" მეტ გამოცდილებას იღებენ ევროტურნირებზე, ჩვენ კი ამას მხოლოდ გუნდური სული და საბრძოლო ჟინი შეგვიძლია დავუპირისპიროთ".

„11 Freunde" მარცხს მიხაელ ბალაკის ტრავმით ხსნის, თუმც კაპიტანს არ ადანაშაულებს:

„ფინალამდე ორი დღე გერმანია ელოდა პასუხს კითხვაზე — ითამაშებს თუ არა ბალაკი? კარიერის განმავლობაში ცხრაჯერ გამხდარა მეორე და აგერ, კიდევ ერთი, მეათე „ვიცე" ტიტული მიიღო.

იგი ერთადერთი იყო ნაკრებში, ვისაც გოლის გატანის შანსი ჰქონდა და ვერ გამოიყენა. მიხაელ ბალაკი მოედნიდან დამარცხებული გავიდა, მაგრამ ამჯერად არ უტირია".

„Stern"-ი ამავე თემას ავითარებს და ტრავმირებული ბალაკის თამაშის აუცილებლობას ეჭვქვეშ აყენებს.

„ტკივილისგან დატანჯული სახით თამაშობდა. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, იოახიმ ლიოვს საუკეთესო ცხენი თავლაში დაეტოვებინა. ვინ იცის, როგორ გართმევდა თავს საქმეს ამავე პოზიციაზე მოთამაშე, სრულიად ჯანმრთელი ტიმ ბოროვსკი.

თვითონ მიხაელ ბალაკს უნდა ეთქვა მწვრთნელისთვის, მოედანზე ჩემს გასვლას აზრი არ ექნებაო.

გერმანიის ნაკრები ცოტათი გონს მეორე ტაიმში მოვიდა, მაგრამ ეს სიკვდილისწინა გაფართხალება იყო.

იოახიმ ლიოვს პასუხისმგებლობისთვის საყვედური ეკუთვნის. 90 წუთის განმავლობაში გულხელდაკრეფილი უყურებდა ნაკრების ტანჯვას. მისი სამივე ცვლილება წყვდიადში ჩაიკარგა".

ერთადერთი, ვისთანაც საპრეტენზიო მედიას არ ჰქონდა, იენს ლემანია. ნაკრების ყველაზე ასაკოვანმა წევრმა ფინალი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ის რომ არა, უფრო დიდი სხვაობით წავაგებდითო. გოლშიც მას არ ადანაშაულებენ, რადგან ფილიპ ლამის შეცდომის გამოსწორება სცადა.

„Express": „ესპანელებმა გვაჯობეს, მაგრამ ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ. ის გუნდი ღირსეული ჩემპიონია. ტექნიკურადაც უფრო ძლიერნი იყვნენ და მეტი საგოლე მომენტიც შექმნეს. გერმანიამ მაინც იბრძოლა და არ დანებდა, მაგრამ ერთი ბნელი მხარე გამოაჩინა — ტიტულის მოსაგებად ფეხბურთის თამაშის უნარი აკლდა".

და ესპანური გაზეთები, რასაკვირველია, მყვირალა სათაურებით იყო აჭრელებული, რომელთაგანაც ერთი — „ესპანეთი ევროპას იპყრობს" — სჭარბობდა.

„El Pais": „დიდებამდე მისასვლელი სხვადასხვა გზა არსებობს, მაგრამ ასე ელეგანტურად და ლამაზად, როგორც ესპანეთმა მოახერხა, იშვიათად იპყრობენ მწვერვალებს.

ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელმაც ყველაზე მეტი გაიტანა, ყველაზე ცოტა გაუშვა, დანავსულ მეოთხედფინალში მსოფლიოს ჩემპიონები დაამარცხა და საუკეთესო ფეხბურთი ითამაშა".

„ეს ოცნება კი არა, რეალობაა — დაწერა „Marca"-მ — ჩვენ ჩემპიონები ვართ და ამას დიდი ასოებით დაწერა უხდება, რადგან სამართალმა იზეიმა და ლამაზი ფეხბურთის თამაშისთვის ჯილდო დამსახურებულად მივიღეთ. ლუის არაგონესმა გარისკა და მოიგო"

„As": „წაიკითხეთ ნელა და დატკბით — ჩვენ ჩემპიონები ვართ. მორჩა, საკმარისია! კომპლექსები მოიხსნა".

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲧᲣᲗᲘ ᲘᲬᲕᲘᲡ, ᲑᲝᲗᲚᲘ ᲛᲝᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ჩემპიონატის ფინალში გერმანელთა წაგებას ქვეყნის რამდენიმე ქალაქში გაწევ-გამოწევა მოჰყვა.

მომხდარის შესახებ პოლიციამ განაცხადა, რომ პატარ-პატარა ჩხუბები იყო და მასობრივ რიარიაში არ გადაზრდილა.

მაგალითად, მაგდებურგში ხუთასამდე მოხალისემ ქალაქის ქუჩებში გაისეირნა და ექსკურსიის დროს, შემთხვევით, სანაგვე ყუთებს ცეცხლი წაუკიდეს.

გარდა ამისა, სამართალდამცავებს ბოთლები დაუშინეს, ოღონდ უცნობია, სავსე თუ ცარიელი და შედეგად რვა პოლიციელი მსუბუქად დაშანდა. რამდენიმე ავტომობილმა „ტრავმა" მიიღო და დაახლოებით ასი მოხალისე საბოლოოდ განყოფილებაში წააბრძანეს.

ქალაქ შვერინში 17 პოლიციელი დაჟეჟეს უთანასწორო, სამასკაციან რაზმთან ბრძოლაში.

ყველაზე წყნარად კი ბერლინში იყვნენ. 600 ათასამდე ქომაგმა ფინალს ბარებში და მოედნებზე უყურა და სამართალდამცავებმა 65 ამრეკი დაიჭირეს.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)

ჩემპიონატის სტატისტიკა

გუნდური სტატისტიკა

დარტყმები

ესპანეთი	117
რუსეთი	87
ჰოლანდია	78

დარტყმა კარში

ესპანეთი	51
რუსეთი	32
ჰოლანდია	31

არაზუსტი დარტყმა

ესპანეთი	47
რუსეთი	44
ჰოლანდია	32

პასები (სულ)

ესპანეთი	3415
გერმანია	2845
რუსეთი	2268

ზუსტი პასები (%)

ესპანეთი	81,33
ჰოლანდია	78,5
საფრანგეთი	77,67

გრძელი პასები

ესპანეთი	621
გერმანია	495
რუსეთი	477

ზუსტი გრძელი პასები (%)

ესპანეთი	65,67
საფრანგეთი	64
ავსტრია	61,33

საშუალო პასები

ესპანეთი	2089
გერმანია	1710
ჰოლანდია	1366

ზუსტი საშუალო პასები (%)

ესპანეთი	87
ჰოლანდია	84,75
გერმანია	83,33

მოკლე პასები

ესპანეთი	705
გერმანია	640
თურქეთი	527

ზუსტი მოკლე პასები (%)

საბერძნეთი	80,33
ჰოლანდია	80,25
ესპანეთი	79,17

ჩაფოდებები

ესპანეთი	71
იტალია	67
გერმანია	64

ზუსტი ჩაფოდებები (%)

რუსეთი	43,2
ჩეხეთი	41,67
პოლონეთი	38,33

კუთხურები

რუსეთი	41
ესპანეთი	35
თურქეთი	28

თამაშგარე

პორტუგალია	17
გერმანია	17
იტალია	15
ესპანეთი	15

ჯარიმები

ესპანეთი	11,4
თურქეთი	10,2
რუსეთი	9,4

ჯარიმები წინააღმდეგ

ესპანეთი	116
გერმანია	100
რუსეთი	89

ბურთის ფლობა (%)

პორტუგალია	55,5
ჰოლანდია	53,75
ესპანეთი	53,67

ყვითელი ბარათები

თურქეთი	16
რუსეთი	10
იტალია	9

წითელი ბარათები

საფრანგეთი	1
გერმანია	1
თურქეთი	1

ინდივიდუალური სტატისტიკა

გოლეადორები

დავიდ ვილია (ესპანეთი)	4
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
ჰაქან იაქინი (შვეიცარია)	3
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	3
სემიჰ შენთურქი (თურქეთი)	3

ასისტენტები

ჰამით ალთინთოფი (თურქეთი)	3
სესკ ფაბრეგასი (ესპანეთი)	3
მიროსლავ კლოზე (გერმანია)	2
დირკ კუიტი (ჰოლანდია)	2
ერენ დერდიოქი (შვეიცარია)	2
დანიელ პრანიჩი (ხორვატია)	2
ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია)	2
ალექსანდრ ანიუკოვი (რუსეთი)	2
სერგეი სემაკი (რუსეთი)	2
უესლი სნეიდერი (ჰოლანდია)	2
ანდრეს ინიესტა (ესპანეთი)	2
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	2

დარტყმები (სულ)

რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	28
კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია)	20
უესლი სნეიდერი (ჰოლანდია)	19
ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)	19

დარტყმა კარში

დავიდ ვილია (ესპანეთი)	12
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	11
ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)	10

არაზუსტი დარტყმა

რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	15
ლუკა ტონი (იტალია)	12
რობინ ვან პერსი (ჰოლანდია)	8
ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)	8

კუთხურები

კონსტანტინ ზირიანოვი (რუსეთი)	21
დარიო სრნა (ხორვატია)	19
ხავი ერნანდესი (ესპანეთი)	18

თამაშგარე

ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)	8
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	7
ადრიან მუტუ (რუმინეთი)	5
რობინ ვან პერსი (ჰოლანდია)	5
ლუკა ტონი (იტალია)	5
მიროსლავ კლოზე (გერმანია)	5

სეივები

იგორ აკინფეევი (რუსეთი)	35
იენს ლემანი (გერმანია)	29
ანდრეას ისაკსონი (შვედეთი)	20
ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია)	20

ჯარიმები

მიხაელ ბალაკი (გერმანია)	22
დავიდ ვილია (ესპანეთი)	15
მარკუშ სენა (ესპანეთი)	15
სერხიო რამოსი (ესპანეთი)	15

მასზე დაჯარიმდნენ

მიხაელ ბალაკი (გერმანია)	16
ვალონ ბეჰრამი (შვეიცარია)	14
ლუკა ტონი (იტალია)	14
მარკუშ სენა (ესპანეთი)	14

პასები (სულ)

ფილიპ ლამი (გერმანია)	359
სერხიო რამოსი (ესპანეთი)	337
ხავი ერნანდესი (ესპანეთი)	316

ზუსტი პასები (%)

ვილიამ გალასი (საფრანგეთი)	93
მარკუშ სენა (ესპანეთი)	90
ლილიან ტურამი (საფრანგეთი)	90
ხავი ერნანდესი (ესპანეთი)	90

გრძელი პასები

იენს ლემანი (გერმანია)	127
იგორ აკინფეევი (რუსეთი)	107
ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია)	92

ზუსტი გრძელი პასები (%)

დორინ გოიანი (რუმინეთი)	88
მლადენ პეტრიჩი (ხორვატია)	88
ანდრეას ივანშიცი (ავსტრია)	87

საშუალო პასები

ფილიპ ლამი (გერმანია)	230
პერ მერტეზაკერი (გერმანია)	212
სერხიო რამოსი (ესპანეთი)	205

ზუსტი საშუალო პასები (%)

დიეგო ბენალიო (შვეიცარია)	100
გრეგორი კუპე (საფრანგეთი)	100
ანტონის ნიკოპოლიდისი (საბერძნეთი)	100

მოკლე პასები

მიხაელ ბალაკი (გერმანია)	79
იური ჟირკოვი (რუსეთი)	78
ფილიპ ლამი (გერმანია)	78

ზუსტი მოკლე პასები (%)

პერ მერტეზაკერი (გერმანია)	95
კოსტას კაცურანისი (საბერძნეთი)	95
ვილიამ გალასი (საფრანგეთი)	95
კრისტიან პანუჩი (იტალია)	95

ჩაფოდებები

ჯანლუკა ამბროტა (იტალია)	18
ფაბიო გროსო (იტალია)	14
ლუდოვიკ მანინი (შვეიცარია)	14

პასები ორ ფეხბურთელს შორის

მეცელდერი — მერტეზაკერს (გერმანია)	65
ლამი — პოდოლსკის (გერმანია)	59
მერტეზაკერი — მეცელდერს (გერმანია)	53

ყვითელი ბარათები

მეჰმეთ აურელიო (თურქეთი)	2
ტრანკილიო ბარნეტა (შვეიცარია)	2
კრისტიან კივუ (რუმინეთი)	2
ჯენარო გატუზო (იტალია)	2
დორინ გოიანი (რუმინეთი)	2
მარიუშ ლევანდოვსკი (პოლონეთი)	2
ანდრეა პირლო (იტალია)	2
სებასტიან პრიოდლი (ავსტრია)	2
იოჰან ფონლანტენი (შვეიცარია)	2
გიორგოს კარაგუნისი (საბერძნეთი)	2
არდა თურანი (თურქეთი)	2
ემრე აშიქი (თურქეთი)	2
თუნჯაი შანლი (თურქეთი)	2
დენის კოლოდინი (რუსეთი)	2
დმიტრი ტორბინსკი (რუსეთი)	2
საბრი სარიოღლუ (თურქეთი)	2
იური ჟირკოვი (რუსეთი)	2
მიხაელ ბალაკი (გერმანია)	2

წითელი ბარათები

ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია)	1
ვოლქან დემირელი (თურქეთი)	1
ერიკ აბიდალი (საფრანგეთი)	1

იუვე ნახევარმცველს და მეკარეს დაიმატებს

ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ გუნდი ამჟამად ნახევარმცველსა და მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონის დუბლიორს არჩევს — სხვა ტრანსფერებს არ ვაპირებთო. არადა, საყოველთაო აზრით, „ბებერი ქალბატონის“ ყველაზე სუსტი რგოლი დაცვაა, რომლის გაძლიერებაზეც შეფები არ ფიქრობენ. მათ ფონს გასვლა უფასოდ მოსტებული შვედი ოლოფ მელბერგია და „ლივორნოდან“ ნათხოვარი ალბერტო დარიო კნეჟევიჩით უნდათ. თუმცა ამ უკანასკნელის ამბავი ჯერ ოფიციალურად არ გადაწყვეტილა.

ბუფონის დუბლიორობის ყველაზე რეალური კანდიდატი ამჟამად „მონაკოს“ მეკარე ფლავიო რომაა, მან საჯაროდ განაცხადა, „იუვენტუსში“ სიამოვნებით გადავალ, თუნდაც სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მომიწიოსო.

რაც შეეხება ნახევარმცველს, აქ რამდენიმე კანდიდატია. სერიოზული საუბარია დეიან სტანკოვიჩზე, მაგრამ „იუვენტუსის“ ფანები ისეთი კატეგორიული წინააღმდეგნი არიან ამ ტრანსფერისა, რომ ძნელად სავარაუდოა, ხელმძღვანელობამ ასეთი არაპოპულარული ნაბიჯი გადადგას.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის იანვარში სტანკოვიჩი „იუვეში“ გადასვლასთან ახლოს იყო, მაგრამ ბოლო წამს „ინტერი“ არჩია, უკეთესი ფინანსური პირობების გამო. კალჩოპოლის სკანდალის დროს კი „ბიანკონერის“ მისამართით ერთ-ერთ ყველაზე მწვავე კომენტარებს სწორედ სერბი აკეთებდა.

„სტანკოვიჩი ფლანგის ნახევარმცველია, ჩვენ კი ცენტრში გვინდა ფეხბურთელი, ვისაც თამაშის საკუთარ თავზე აღება და წარმართვა შეუძლია. რაც შეეხება კონკრეტულად „ინტერს“, ყოველგვარი მოლაპარაკება უნდა გამირიცხოს, სანამ მილანელები არ აღიარებენ, რომ მე-14 სკუდეტო არ მოუგიათ, ეს ჯილდო ჩვენ წაგვართვეს. იქამდე კი არანაირი ტრანსფერები და ფეხბურთელების გაცვლები. „იუვეს“ არ შეეფერება სხვისი თეფშიდან გადმოვარდნილი ნამცეცების აკრეფვა და, შესაბამისად, სტანკოვიჩიც ნამდვილად არ გვჭირდება“ — თქვა ფეხბურთის სპეციალისტმა და ტურინული კლუბის ცნობილმა ქომაგმა ჯამპიერო მუგინიმ.

„ბებერი ქალბატონის“ გენერალური დირექტორი ჟან-კლოდ ბლანი: „რასაკვირველია, ფანებმა თავიანთი პოზიცია უნდა დაფიქსირონ და ამას მივესალმებით, მაგრამ გადაწყვეტილება ჩვენ უნდა მივიღოთ, პროფესიონალურ დონეზე, ყველაფრის კარგად გაანალიზებით, კლუბის სასიკეთოდ“.

კიდევ ერთი რეალური კანდიდატი სლოვაკი მარეკ ჰამშიკია, რომელსაც „ნაპოლიში“ ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. ამბობენ, შესაძლოა, „იუვენტუსმა“ მისი კონტრაქტის ნახევარი ნეაპოლელთათვის ვინჩენცო იაკვინტას დათმობით გამოისყიდოს, ახალგაზრდა ფეხბურთელი კიდევ ერთი სეზონი „სტადიო სან პაოლოზე“ დატოვოს, მერე კი ბოლომდე გამოისყიდოს სლოვაკი.

„მაღალი კლასის ნახევარმცველისა და მეკარის დამატებას ვაპირებთ. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ფანები შეცდომაში არ შევიდნენ. სხვა ტრანსფერები არ იქნება. ჩვენი მიზანია გუნდი მომავალი სეზონის მოსამზადებელი პერიოდის დაწყებამდე, ანუ 4 ივლისამდე ბოლომდე დაკომპლექტებული გვყავდეს. ამავე მეთოდით ვიმუშავეთ წინა ზაფხულს და ამან გაამართლა. მომავალი 7-8 დღე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მოლაპარაკებების დასასრულებლად. თუმცა თუ რომელიმე შემთხვევას ცოტა მეტი დრო დასჭირდება, საქმეს შუაგზაში არ მივატოვებ“ — დასძინა ბლანმა.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს „იუვენტუსმა“ სამი ახალგაზრდა ნახევარმცველი დაიბრუნა — კლაუდიო მარკიზიო, სებასტიან ჯოვინკო და პაოლო დე ჩელიე.

„ჩვენს ახალგაზრდებს დიდ ნდობას ვუცხადებთ. ჯოვინკო, მარკიზიო და დე ჩელიე იმ გუნდში მოვიდნენ, რომელიც ნამდვილი ჩემპიონებითაა სავსე. სწორი მიმართულებით მივდივართ და მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. უკვე დადასტურდა — წარმატებული კლუბის საფუძველი ჩაყრილია“ — თქვა „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

გიორგი ძაძაბაძე

1958-ში, შვედეთში ბრაზილია პირველად...

ბრაზილიაში 29 ივნისს ეროვნული ნაკრების მსოფლიოს პირველი ჩემპიონობის ორმოცდაათიწლისთავი აღნიშნეს.

1958 წლის 29 ივნისს ბრაზილიამ მასპინძელ შვედეთს ფინალში 5:2 მოუგო და თავის ისტორიაში პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, რამაც ქვეყანაზე უდიდესი გავლენა მოახდინა არამარტო სპორტული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ამ იუბილესადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის ღონისძიებები ერთი კვირის განმავლობაში იმართებოდა ბრაზილიაში. მათ შორის იყო გამოფენა, რომელიც ლეგენდარული პელეს მიღწევებს ეძღვნებოდა.

შეგახსენებთ, რომ პელემ პირველად სწორედ მაშინ გაიბრწყინა და 17 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული და გმირი გახდა.

იმ ნაკრების ფეხბურთელები ქვეყნის პრეზიდენტმა ლუიშ ინასიუ ლულა და სილვამ და დეპუტატებმა მიიღეს.

ძოძი ძანდელაძი

ლიონი ფულს ითხოვს

ჰათემ ბენ არფას ტრანსფერთან დაკავშირებით პრობლემა შეიქმნა. „ლიონის“ ხელმძღვანელობა ამბობს, რომ „მარსელისგან“ ფული ჯერ არ მიუღია და ფეხბურთელი უკან „სტად ჟერლანზე“ უნდა დაბრუნდეს და ვარჯიში იქ განაგრძოს.

თუმცა 21 წლის ნიჭიერი თავდამსხმელი კატეგორიულ უარზეა. თავს უკვე „მარსელის“ მოთამაშედ ვთვლი და „ველოდრომიდან“ ფეხს აღარსად მოვიცვლი, რაც არ უნდა მოხდეს და რაც არ უნდა თქვანო.

„აქ ვარ და რაც უნდა მოხდეს, იქ არ დავბრუნდები“ — მოკლედ განაცხადა გაბრაზებულმა ბენ არფამ.

„მარსელის“ თავმჯდომარე პაპ დიუფი ამბობს, რომ ყველა დეტალი მოგვარებულია. მან საბუთები შეაგროვა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას გადაუგზავნა, ეგებ პრობლემა მოგვაროთო. ყველაფერი ალბათ კვირის ბოლომდე გირკვევა.

შეგახსენებთ, რომ ბენ არფა რაიმონ დომენეკმა ევრო 2008-ზე არ წაიყვანა. მას ეროვნული ნაკრების ღირსება 6-ჯერ დაუცავს.

ძოძი ძანდელაძი

არგენტინელთა საპეკინო სია

გამოქვეყნდა არგენტინის ნაკრების 16-კაციანი სია, რომელიც პეკინის ოლიმპიადაზე ითამაშებს. ცხადია, განაცხადში არაერთი ცნობილი ვარსკვლავი მოხვდა — ბარსელონელი ლიონელ მესი, ლივერპულელი ხავიერ მასკერანო, „ბოკა ხუნიორსის“ ლიდერი ხუან რომან რიკელმე...

მწვრთნელი სერხიო ბატისტა ყველანაირად ეცდება, არგენტინელ ახალგაზრდებს მორიგი ტიტული მოაპოვებინოს. შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადა 8-24 აგვისტოს გაიმართება. შესაბამისად, არგენტინის ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდის გარკვეულ ნაწილს გამოტოვებენ.

აღსანიშნავია, რომ განაცხადში მყოფი 16 ფეხბურთელიდან აბსოლუტური უმრავლესობა, უფრო სწორად კი, 9 მათგანი ესპანურ პრიმერადივიზიონში თამაშობს. სიაში არგენტინის ჩემპიონატიდან მხოლოდ ორი მოთამაშეა — რიკელმე და ფაბიან მონსონი, ორივე „ბოკა ხუნიორსის“ ღირსებას იცავს.

23 წელს გადაცილებულთა სამი ადგილი რიკელმემ, მასკერანომ და ფაბიო კოლოჩინიმ შეავსეს.

მეკარეები: ოსკარ უსტარი („ხეტაფე“, ესპანეთი), სერხიო რომერო („ალკმაარი“, ჰოლანდია), ნიკოლას ნავარო („ნაპოლი“, იტალია).

მცველები: პაბლო საბალეტა („ესპანიოლი“, ესპანეთი), ესეკიელ გარაი („რასინგი“, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი („დეპორტივო“, ესპანეთი), ფედერიკო ფაციო („სევილია“, ესპანეთი), ფაბიან მონსონი („ბოკა ხუნიორსი“).

ნახევარმცველები: ფერნანდო გაგო („რეალი“, ესპანეთი), ვერ ბანეგა („ვალენსია“, ესპანეთი), ხავიერ მასკერანო („ლივერპული“, ინგლისი), ხუან რომან რიკელმე („ბოკა ხუნიორსი“), ხოსე ერნესტო სოსა („ბაიერნი“, გერმანია).

თავდამსხმელები: სერხიო აგუერო („ატლეტიკო“, ესპანეთი), ლიონელ მესი („ბარსელონა“, ესპანეთი), ესეკიელ ლავეცი („ნაპოლი“, იტალია).

ძოძი ძანდელაძი

არგენტინა
კლასუსურა. პლეი აუტი საპასუხო მატჩი
ხიმნასია (ხ) 1:0 სანტა ფე (1:1)

ბრაზილია
სერია A. VIII ტური
გრემიო 1:1 ინტერნასიონალი
ფლუმინენსე 0:0 ბოტაფოგო
პალმეირასი 2:0 ნაუტიკო

ჩილე
კლასუსურა. II ტური
კობრელოა 1:1 კობრესალი
უნივ. დე ჩილე 2:1 ატლეტიკო

ამხანაგური მატჩები
კრესტა 0:2 რაპიდი (ვენა)
ვიძევი 1:5 ამკარი
ჟიჭკოვი 2:2 ბუდეიოვიცე
ინდონეზია 1:0 ვიეტნამი

სარგებელი ლატარეა

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია, თასი						
		2 ივლისი						
18:00	138	ბრინი-ლოვ ჰამი	1.65	3.70	4.70	1.14	1.22	2.07
18:00	139	ჰაუგესუნდი-სანდნესი	1.75	3.70	3.85	1.18	1.20	1.88
18:00	140	ბოდიო გლიმტი-ალტა	1.20	6.10	11.00	1.00	1.08	3.92
18:00	141	სტაბეკი-მანგლერუდი	1.10	11.00	20.00	1.00	1.04	7.09
18:00	142	მოსი-სტარტი	2.60	3.40	2.40	1.47	1.24	1.40
		სამხრეთ ამერიკა, ლიბერტადორესის თასი						
		3 ივლისი						
04:50	130	ფლუმინენსე-ქუიტო	1.35	4.00	7.90	1.00	1.15	2.65
		შვედეთი, ალსვენსკა						
		1 ივლისი						
21:00	10	გიოტებორგი-ტრელებორგი	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
		2 ივლისი						
21:00	11	გეფლე-კალმარი	3.00	3.40	2.15	1.59	1.25	1.31
21:00	12	ჰალმსტადი-ჰამარბი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
21:00	13	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
22:00	14	იურგორდენი-ელფსბორგი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
		3 ივლისი						
21:00	15	მალმიო-ლიუნგსკილე	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73
21:00	16	ორებრო-ია	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
21:00	17	ჰელსინგბორგი-გაის	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
		შვეიცარია, სუპერლიგა						
		1 ივლისი						
20:00	49	სირიუსი-ბუნკეფლო	1.80	3.30	3.35	1.16	1.17	1.66
21:00	69	ჰეკენი-ფალკენბერგი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
21:00	70	ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი	2.00	3.40	3.20	1.25	1.23	1.64
		2 ივლისი						
21:00	65	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
		იაპონია, თასი						
		2 ივლისი						
14:00	134	კაშიმა-შიმიცუ	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
14:00	135	იჩიჰარა-ნაგოია	2.55	3.30	2.40	1.43	1.23	1.38
14:00	136	გამბა-იოკოჰამა ფმ	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
14:00	137	ტოკიო-ოიტა	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
		ირლანდია, თასი						
		1 ივლისი						
20:45	131	გალვეი-ბრეი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
20:45	132	დროგედა-კორკი	2.20	3.10	3.00	1.28	1.26	1.52
20:45	133	დერი-ბოჰემიანსი	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10010	გიოტებორგი-ტრელებორგი	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10049	სირიუსი-ბუნკეფლო	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10069	ჰეკენი-ფალკენბერგი	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10070	ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10011	გეფლე-კალმარი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10012	ჰალმსტადი-ჰამარბი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10014	იურგორდენი-ელფსბორგი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10016	ორებრო-ია	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10017	ჰელსინგბორგი-გაის	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11010	გიოტებორგი-ტრელებორგი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11049	სირიუსი-ბუნკეფლო	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11069	ჰეკენი-ფალკენბერგი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11070	ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11011	გეფლე-კალმარი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11012	ჰალმსტადი-ჰამარბი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11014	იურგორდენი-ელფსბორგი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11016	ორებრო-ია	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11017	ჰელსინგბორგი-გაის	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

ბოლი:ყვითელი-1თუ ძენტი-2 (0:0 ითვლება ყვითლად)

17010	გიოტებორგი-ტრელებორგი	1.85	1.95
17049	სირიუსი-ბუნკეფლო	1.85	1.95
17069	ჰეკენი-ფალკენბერგი	1.85	1.95
17070	ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი	1.85	1.95
17011	გეფლე-კალმარი	1.85	1.95
17012	ჰალმსტადი-ჰამარბი	1.85	1.95
17013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	1.85	1.95
17014	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	1.95
17065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	1.85	1.95
17015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.85	1.95
17016	ორებრო-ია	1.85	1.95
17017	ჰელსინგბორგი-გაის	1.85	1.95

ორმაგი შანსი ბასსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0:0 დასრულების შემთხვევაში, ორივე შესაძლო ფარგლულად ჩაითვლება)

14010	გიოტებორგი-ტრელებორგი	1.20	2.60
14049	სირიუსი-ბუნკეფლო	1.65	2.30
14069	ჰეკენი-ფალკენბერგი	1.30	2.50
14070	ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი	1.70	2.20
14011	გეფლე-კალმარი	2.10	1.75
14012	ჰალმსტადი-ჰამარბი	1.85	1.95
14013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	1.75	2.10
14014	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	1.95
14065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	1.80	2.00
14015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.20	2.60
14016	ორებრო-ია	2.10	1.75
14017	ჰელსინგბორგი-გაის	1.30	2.50

რომელ ტაიმში ბავა მეტი ბოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15010	გიოტებორგი-ტრელებორგი	3.00	2.80	2.00
15049	სირიუსი-ბუნკეფლო	3.00	2.80	2.00
15069	ჰეკენი-ფალკენბერგი	3.00	2.80	2.00
15070	ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი	3.00	2.80	2.00
15011	გეფლე-კალმარი	3.00	2.80	2.00
15012	ჰალმსტადი-ჰამარბი	3.00	2.80	2.00
15013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	3.00	2.80	2.00
15014	იურგორდენი-ელფსბორგი	3.00	2.80	2.00
15065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	3.00	2.80	2.00
15015	მალმიო-ლიუნგსკილე	3.00	2.80	2.00
15016	ორებრო-ია	3.00	2.80	2.00
15017	ჰელსინგბორგი-გაის	3.00	2.80	2.00

ფრის ბარიერი (ძირითადი დრო)

16010	გიოტებორგი-ტრელებორგი	1.11	5.70
16049	სირიუსი-ბუნკეფლო	1.30	3.00
16069	ჰეკენი-ფალკენბერგი	1.17	4.10
16070	ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი	1.40	2.55
16011	გეფლე-კალმარი	2.10	1.60
16012	ჰალმსტადი-ჰამარბი	1.70	1.95
16013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	1.52	2.20
16014	იურგორდენი-ელფსბორგი	1.70	1.95
16065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	1.62	2.05
16015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.10	5.50
16016	ორებრო-ია	2.20	1.50
16017	ჰელსინგბორგი-გაის	1.22	3.40

რამდენი ბოლი ბავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12010	გიოტებორგი-ტრელებორგი 2,5	1.70	1.80
12049	სირიუსი-ბუნკეფლო 2,5	1.80	1.60
12069	ჰეკენი-ფალკენბერგი 2,5	1.90	1.60
12070	ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი 2,5	1.90	1.60
12011	გეფლე-კალმარი 2,5	1.70	1.90
12012	ჰალმსტადი-ჰამარბი 2,5	1.70	1.90
12013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი 2,5	1.70	1.90
12014	იურგორდენი-ელფსბორგი 2,5	1.70	1.90
12065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი 2,5	1.70	1.90
12015	მალმიო-ლიუნგსკილე 2,5	1.80	1.70
12016	ორებრო-ია 2,5	1.60	1.90
12017	ჰელსინგბორგი-გაის 2,5	1.70	1.80

შესაძლო ცვლილებები ლატარეის ბილეთზე

ცინცაძემ როკი დაიბევა და გუნდს ეძებს

ქართველ ლეგიონერთაგან ყველაზე წარმატებული სეზონი გიორგი ცინცაძეს ჰქონდა. ტარტუს „როკის“ შემადგენლობაში გიო ესტონეთის ჩემპიონი გახდა, ევროთასის ოთხთა ფინალში გავიდა და, რაც მთავარია, ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ცინცაძე ესტონეთის ჩემპიონატისა და ევროთასის საუკეთესო გამთამაშებელი გახდა. ითამაშა ამ ტურნირების ოლ სტარში და საერთოდ, „როკის“ ქომაგთა ყველაზე საყვარელი მოთამაშეც გახლდათ. მას ტარტუულ გუნდთან კონტრაქტი დაუსრულდა, გულშემატკივრებმა კი ლოზუნგები გამოფინეს: „გიორგი, დარჩი ჩვენთან!“ დღე-დღეზე ცინცაძე „როკთან“ კონტრაქტს კი გააფორმებს, მაგრამ ისეთს, სეზონის დაწყებამდე უკეთესი ვარიანტი რომ გამოუჩნდეს, ტარტუელებს უპრობლემოდ დაშორდება. გიორგი ახლა თბილისშია, ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ჩვენც მისი გეგმებით დავინტერესდით...

— „როკთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს დაგიმთავრდა და კარიერის გაგრძელებას სად აპირებ?

— ჯერ არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას, თუმც თავის დაზღვევის მიზნით, ამ დღეებში „როკთან“ ახალ კონტრაქტს გავაფორმებ. დღეს ველოდები ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულებას და, სავარაუდოდ, ხელსაც მოვაწერ.

— თუკი კონტრაქტს აფორმებ, სხვა კლუბზე როგორღა ფიქრობ?

— ტარტუელებს ძალიან უნდათ, რომ მათთან დავრჩე და ისეთ კონტრაქტს მთავაზობენ, რომელსაც ამ ზაფხულს, როცა მინდა, მაშინ გავწყვეტ. თუ აგვისტოს ბოლომდე რამე უკეთესი ვარიანტი არ გამომიჩნდა, „როკში“ დავრჩები, არადა...

— ახლა არ გაქვს სხვა გუნდების ვარიანტები?

— მაქვს, მაგრამ ამ ეტაპზე „როკთან“ ამგვარი კონტრაქტის გაფორმება უფრო მაწყობს. რატომ უნდა ვიჩქარო, აგვისტოს ბოლომდე ეგებ უკეთესი ვარიანტი გამოჩნდეს.

— უკეთესში კლუბის დონეს გულისხმობ?

— რა თქმა უნდა, სასურველია, უფრო ძლიერ გუნდსა და, შესაბამისად, მაღალი დონის ლიგაში თამაში, მაგრამ ჩემთვის მთავარი სათამაშო დროა. თუკი რომელიმე გრანდში გადავალ და 10-15 წუთს ვითამაშებ მხოლოდ, ამას მირჩევნია, „როკში“ დავრჩე. უკეთეს ვარიანტად იმას ჩავთვლი, თუკი ძლიერი გუნდი იქნება და თამაშის გარანტიასაც მომცემენ. ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა იქნება. „როკთან“ ამ კონტრაქტის გაფორმებით არაფერს არ ვაგებ.

— ახლახან სლოვენიეში იყავი და ეს შენს შესაძლო ტრანსფერს ხომ არ უკავშირდებოდა?

— არა, სლოვენიაში ჩემმა მენეჯერმა დამპატიჟა სავარჯიშოდ. იქ ერთი სერბი სპეციალისტი დაგვხვდა, რომელიც მე და რამდენიმე ახალგაზრდას საკალათბურთო ნიუანსებში გვავარჯიშებდა. ამას ერთგვარი კემპის სახე ჰქონდა, მაგრამ არ იყო ოფიციალური. ბევრ ისეთ რამეში ვვარჯიშობდით, რისთვისაც სეზონის განმავლობაში ვერ ვიცლიდი. 10 დღე ვიყავი სლოვენიაში და ძალიან კმაყოფილი წამოვედი.

— სხვა გუნდების წარმომადგენლები ხომ არ ესწრებოდნენ ვარჯიშებს?

— არა, ეს მართლა არ იყო სატრანსფერო ვიზიტი. შინაურულ ატმოსფეროში ვივარჯიშე რამდენიმე დღე და ეგ იყო.

— სლოვენიამდე ტრევიზოს კემპზე ითამაშე, სადაც უამრავი ევროპელი და ამერიკელი სპეციალისტი გაკვირდებოდა. რატომღაც ინერტული იყავი და რა იყო ამის მიზეზი?

— ალბათ ის, რომ იმ ასაკიდან გამოვედი, როცა ქულების კეთება და ინდივიდუალური თამაში მიყვარდა. 4 წლის წინაც ვიყავი ტრევიზოს კემპზე და ოლ სტარშიც ვითამაშე, ახლა კი სულ სხვაგვარად ვუყურებდი იქაურ ამბებს. მთელი სეზონი გუნდურ კალათბურთს ვთამაშობდი და ტრევიზოშიც, ძალაუნებურად, კლუბიდან გამოყოლილი ტაქტიკით ვირჯებოდი. რაღაცნაირად ზედმეტად მიმაჩნდა ბევრი სროლა და ბურთის თრევა. სხვები კი სწორედ ამას აკეთებდნენ.

— ტრევიზოში თავის გამოჩენას სერიოზული კლუბების დაინტერესება მოჰყვებოდა...

— იქ, ძირითადად, ნბა-ს წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც კონკრეტულ მოთამაშეებს აკვირდებოდნენ. მე ნბა-ში გადასვლის მცირე შანსი მქონდა და დრაფტზე დადგომასაც არ ვაპირებდი, ამიტომაც თავი აღარ გამომიდვია.

— ეროვნული ნაკრების შეკრებამდე თბილისში იქნები?

— ჰო, აქ ვარ მთელი ივლისი და შეკრებას რომ კარგ ფორმაში შევხვდე, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ.

ირაკლი პერტაია

ქართველები ფოთისთვის

დღეს ფოთში, 17-წლამდელებს შორის სადებიუტო „შავი ზღვის თასი“ რომ იწყება, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ბადრი ბოხუამ და სპირიდონ ლიპარტელიანმა სატურნირო შემადგენლობა გამოაცხადეს.

შეგახსენებთ, რომ ფოთში ნორჩი ბორჯღალოსნების გარდა, „კოლხ რაინდებად“ წოდებული დასავლეთ საქართველოს ნაკრები, უკრაინისა და რუმინეთის 17-წლამდელთა ნაკრებები ირაგბებენ.

კენჭისყრით დღეს საქართველოს ნაკრები უკრაინას, ხოლო „კოლხი რაინდები“ რუმინეთს ეთამაშებიან. წყვილებში გამარჯვებულები 5 ივნისს ერთმანეთს პირდაპირ ფინალში შეხვდებიან, დამარცხებულები კი მე-3 ადგილისთვის იბრძოლებენ. მატჩები 17 და 19 საათზე ჩატარდება.

გაჩო სვანიძე

ნორჩი ბორჯღალოსნები

შერკინება: გიორგი შენგელია, ილია ლობჟანიძე (ორივე ყოჩები), შშაგი ჯაჯაია, ზურაბ ერისთავი, დავით ლოსაბერიძე, ლევან თხელიძე (აია), ბესო კვიჩინაშვილი, ნიკა ფვანია, კოტე ფლენტი, ლევან ჩალიჩავა (უნივერსიტეტი), მერაბ მატკავა (ფოთი), კოტე მიქაუტაძე, რეზო ფლენტი (არმაზი), გიორგი ქყოიძე (ლელო)

უკანა ხაზი: უჩა მჭედლიშვილი, აკა ხიპაშვილი, ჯიმი ღამბაშიძე (ლელო), ბახვა კობახიძე, ლუკა კვარაცხელია (ყოჩები), გიორგი ონიანი, ზვიად ოდიშარია (აია), ლევან გოგოლაშვილი, გიორგი მარგიანი, ვანო გაბროშვილი (აკადემია), რამაზ ჯინაშვილი (უნივერსიტეტი)

ბადრი კბილაძის ფოტო

საქართველო უკრაინას 2:2-ზე გაეყარა

საქართველო U-18 61:71 უკრაინა U-18
3:22 15:18 19:19 24:12

საქართველო: ტომარაძე (10 ქულა, 3 პასი), მეტრეველი (8 ქულა, 8 მოხსნა)
უკრაინა: ოტვერჩენკო (14 ქულა), დმიტრიენკო (14 ქულა), ლებედინცევი (10 ქულა, 5 პასი)

საქართველო U-18 70:76 უკრაინა U-18
20:16 13:12 20:24 17:24

საქართველო: მეტრეველი (20 ქულა, 12 მოხსნა), მაისურაძე (6 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი)
უკრაინა: ლებედინცევი (27 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა)

საქართველოსა და უკრაინის ჭაბუკთა ნაკრებების ოთხმატჩიანი სპარინგერია დასრულდა. დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამართული ორი მატჩის შემდეგ ამ გუნდებმა გასულ უქმეებზე კიდევ ორი შეხვედრა გამართეს რუსთავსა და თბილისის საკალათბურთო აკადემიის დარბაზში, რომლებიც უკრაინელთა გამარჯვებით დასრულდა.

მიხეილ კობეშავიძის გუნდმა საწყის ორ შეხვედრაში კი იოლად იმარჯვა, მაგრამ მომდევნო მატჩებში სტუმრებმა იძალეს. განსაკუთრებით რუსთავულ მატჩში გაუჭირდათ ჩვენებს. საწყისი მეოთხედის 3:22 წაგების შემდეგ, ქართველები მთელი თამაში ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და საბოლოოდ 61:71 დამარცხდნენ.

აკადემიის დარბაზში გუშინწინ გამართული შეხვედრა უფრო თანაბარი გამოვიდა, მაგრამ ანდრეი ლებედიანცევის ბრწყინვალე თამაშის წყალობით უკრაინელებმა დაძაბულ ბრძოლაში 76:70 იმარჯვეს.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას თბილისში გააგრძელებს და 23 ივლისს A დივიზიონის საგზურის მოსაპოვებლად უნგრეთში გაემგზავრება. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები დანიის, ფინეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის ნაკრებები იქნებიან.

ირაკლი პერტაია

ჰანოვერში ქართველებიც ითამაშებენ

ევრო-სერიის ბოლოსწინა, მოსკოვურ ეტაპზე შვიდკაცა რაგბიში პორტუგალიამ და პოლონეთმა ჯგუფში მოლდოვის ეროვნული გუნდი ჩატოვეს და ამით საქართველოს ნაკრების წისქვილზე დაასხეს წყალი. მოლდოვამ ვერ დააგროვა საჭირო ქულები და ჩვენებს ვერ გადაასწრო. ქართული შვიდეული 12-13 ივლისს ჰანოვერის 12-გუნდა ფინალს ითამაშებს და წარმატების შემთხვევაში მსოფლიოს თასის საგზურს დაიბევებს. 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ჩვენი „ლელოები“ გერმანულ ტურნირზე ხუთეულში უნდა გავიდნენ.

12-გუნდა ფინალის A ჯგუფში საქართველოს ნაკრები პორტუგალიის, ესპანეთის, რუსეთის, გერმანიისა და რუმინეთის ნაკრებებთან ერთად მოხვდა, ხოლო B ჯგუფში თავი უელსის, ირლანდიის, იტალიის, უკრაინის, პოლონეთის და ბელგიის ნაკრებებმა მოიყარეს.

ზურაბ მიგრიაული

უსაინ ბოლტმა (მარცხნივ) ასაფა პაუელი (მარჯვნივ) მეორეობას დააჯერა

იამაიკელები მსოფლიოს გაიყოფენ?

პაუელმა ჯერჯერობით დაუთმო ბოლტს

კარიბეთის მცხუნვარე კუნძულ-სახელმწიფო იამაიკაზე შიდა ჩემპიონატი ხურს, სულ საუკეთესოები შეკრებილან და ერთმანეთში პაექრობაში ქვეყნის ოლიმპიურ გუნდს ადგენენ. პლანეტის უსწრაფერი ადამიანები ასაფა პაუელი და უსაინ ბოლტიც იქ არიან.

კაცებშიც და ქალებშიც ამ კუნძულს არაოფიციალურად მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ათეულების რამდენიმე წევრი ჰყავს, ასე რომ მათ ერთმანეთში შეჯიბრს მთელი სამძლეოსნო სამყარო გაფაციცებით ელოდა და შედეგებმა სერიოზულად ჩაფიქრა 100 მეტრზე სირბილში ოლიმპიური ჩემპიონობის არაიამაიკელი პრეტენდენტები — კუნძულელებთან ბრძოლა უძნელესი იქნება ერთეულებშიც და ესტაფეტებშიც. საქმე შეიძლება იქამდეც მივიდეს, რომ პოდიუმების ყველა საფეხური ამათ დაიკავონ და საუკეთესოები ერთმანეთთან დავაში გამოავლინონ.

შაბათს 100 მეტრში წინასწარი გარბენი იყო და უკვე მაშინ ალაპარაკდა ხალხი ასაფა-უსაინს შორის საქმის გარჩევაზე. პაუელი ცხადია ფრიად ნაწყენია, ბოლტმა რეკორდი რომ ჩამოართვა, დღემუდამ ცდილობს, თავისი უპირატესობა დაამტკიცოს და ყოველ ჯერზე მაქსიმუმის ზღვარზე დარბის. კინგსტონშიც საკვალიფიკაციოშივე აიწყვიტა და მძლავრი შედეგით, 9,90 წამში შეფრინდა ფინიშზე. ეშმაკმა ჟურნალისტებმა რომ ჰკითხეს, ასე რამ გაგაშმაგო, ექსრეკორდსმენმა ჩაილაპარაკა, ჩემი მთავარი მიზანი ოპიმპიადისთვის მზადებაა და სწორედ ასე ვემზადებიო.

ამასობაში კი ბოლტმა სრული ადაუღეელებლად დაფარა თავისი წილი 100 მეტრი სულ რაღაც 10,19 წამში და ესეც კომფორტულად ეყო ფინალში გასასვლელად. ისედაც სავსებით მშვიდი მერე კიდევ რომ დამშვიდა, თქვა — ეს შედეგი საერთოდაც არ მაშფოთებს, ახლა რამდენიმე დეტალი დავამუშავე, რომელსაც შემდეგში გამოვიყენებო.

21 წლის მსოფლიო რეკორდსმენმა დიდხანს არ ალოდინა ხალხი და მალევე აჩვენა, სინამდვილეში რა შეუძლია. კვირას ფინალში მან ბოლომდე ან თითქმის ბოლომდე მიუშვა მის სხეულში დაბმული ჰეპარდი და თავად ასაფა პაუელთან დუელში დაანახა ხალხს, რომ მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის წოდება შემთხვევით არ ჩაუვარდა ხელში.

100 მეტრის კაცთა ფინალმა ბევრ კითხვას გასცა პასუხი და კიდევ მეტი შობა. ბოლტი და პაუელი დაახლოებით 50 მეტრის შემდეგ მოსწყდნენ დანარჩენებს, ბოლტი ოდნავ წინ იყო და პირველმა მან გადაკვეთა ფინიში შესანიშნავი შედეგით — 9,85 წამში, პაუელმა კი ოდნავ გაუარესა საკვალიფიკაციოში ნაჩვენები შედეგი და 9,97 დაუფიქსირდა, რის მიხედვითაც ის მეორე იყო, ავტომატურად მოხვდა ოლიმპიურ გუნდში და პირდაპირ გამოვა პეკინის ოლიმპიადაზე. მესამე ადგილზე გასულ მაიკლ ფრატერს (10,03) კი კიდევ მოუწევს კვალიფიკაციის გავლა, ოღონდ საერთაშორისო ტურნირებზე. მაგრამ ასეთი შედეგით ის არა მხოლოდ მოხვდება პეკინში, არამედ იქ მედლისთვისაც კი იბრძოლებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბოლტ-პაუელის დუელს: გამარჯვებული ბოლტი ცხადია კმაკოფილი საუბრობდა — რა თქმა უნდა, მთავარი მიზანი ორ საუკეთესოს შორის მოხვედრა და პეკინის საგზურის დაბევება იყო და ჩემსა და ასაფას შორის შეჯიბრი ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ რაც მართალია მართალია, სირბილით დიდი სიამოვნება მივიღეო. მერე კი დასძინა, დავინახე, რომ პაუელმა ჩემთან შეჯიბრი ფინიშამდე დაახლოებით 20 მეტრით ადრე შეწყვიტაო.

პაუელი კი თითქოს შეელია მსოფლიოს პირველი სპრინტერის სტატუსს და ამ საინტერესო დავაში წინ გაუშვა კონკურენტი, რათა უკან დაიხიოს, ძალები გადააჯგუფოს და მას გენერალური ბრძოლა ოლიმპიადაზე გაუმართოს. აი, იქ გამოჩნდება ვინაა მართლა პირველი. „წლეულს ბოლტი კარგ ფორმაშია, 9,72 და 9,76 წამში აქვს ნარბენი — ამბობს პაუელი — მე კი ტრავმიანი პერიოდიდან გამოვდივარ და ვცდილობ, თავი გადავირჩინო.“

კვირასვე კინგსტონში ქალთა ფინალიც გაიმართა და იქ კიდევ უფრო მეტი საინტერესო რამ მოხდა. მაგალითად, გაირკვა, რომ ქალთა შორის 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ჩემპიონი ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი ველარ გახდება ერთეულთა შორის ოლიმპიური ჩემპიონი. ვერონიკა გადასარევ ფორმაში კია და წლეულს არაერთხელ ჩამოსცდა გროსმაისტერულ 11-წამიან ნიშნულს. მან იამაიკის ჩემპიონატშიც რიგიანად ირბინა და ფინალში 10,88 წამი აჩვენა, მაგრამ მოხდა სასწაული და ის ამ შედეგითაც ვერ ჩაჯდა ოლიმპიურ გუნდში. ფინალი ქალთათვის არანორმალურად სწრაფი გამოვიდა და მოწინავეთა შორის დაფიქსირდა ისეთი მაღალი შედეგები, მსოფლიოს ჩემპიონატებზე რომ არ ჩანს ხოლმე. ყველანი იამაიკელები იყვნენ, მაგრამ იფიქრებდი, მსოფლიოს 8 უსწრაფესი მდედრი ეჯიბრება ერთმანეთსო.

პირველი ადგილი კერონ სტიუარტმა მოიპოვა 10,80 წამში. 10,85 წამით მეორე იყო შელი-ენ ფრეზერი, ვინაც პირველად გადალახა 11-წამიანი ბარიერი. ეს ორნი ავტომატურად მოხვდნენ ოლიმპიურ კრებულში, 10,87 წამით მესამეზე გასულ შერონ სიმპსონს კი წინ უცხოელებთან გაჯიბრება ელის ოლიმპიადაზე მოსახვედრად. საოდავი ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი კი მხოლოდ მეოთხე იყო. მას აწი მხოლოდ 4X100 მეტრზე ესტაფეტაში თუ ექნება ოლიმპიური ოქროსთვის ბრძოლის შანსი და ბედის ირონიით ისიც იმ გოგონებთან ერთად, რომლებმაც გაცილებით პრესტიჟული საერთეულო ოქროსთვის ბრძოლის შესაძლებლობა წაართვეს.

აქვე ვთქვათ და იამაიკის ახალმა დედოფალმა (ჯერ მხოლოდ იამაიკის, მერე კი ვინ იცის) კერონ სტიუარტმა თავისი 10,80 წამით იამაიკის ყველა დროის მეორე შედეგი აჩვენა და მხოლოდ ახლაც მოქმედ მერლინ ოტის (10,74) ჩამორჩა. იძახის, ამ რეკორდსაც მოვხსნი და პეკინშიც მოვიგებო!.. ვნახოთ, ოლიმპიადამდე ხუთი კვირაღა რჩება.

ირაკლი ფირაზვილი

გაიმ მეტოქეებს თავი შეასხენა

ოლიმპიადისთვის ემზადებიან ამერიკელი მძლეოსნებიც, რომლებიც ორეგონის შტატში, ქვეყნის მძლეოსნობის მექად წოდებული იუჯინში შეკრებილან და შიდა ჩემპიონატს ატარებენ, რომელიც ამავდროულად ოლიმპიური გუნდისთვის შესარჩევი ტურნირიცაა.

და იუჯინში დაფიქსირდა ერთი ისეთი შედეგი, რომელმაც ცოტა ხნით ყველას დააავიწყა, იამაიკაც და იქაური სუპერ-სპრინტერებიც.

ამერიკელმა ტაისონ გაიმ შესაძლოა იმის წყალობით მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, რომ შარშან ოსაკაში მთლად საუკეთესო ფორმაში ვერ იყო ასაფა პაუელი. ეს უკანასკნელი მაშინ მსოფლიო რეკორდსმენის ტიტულს ჰყრობდა და ზოგადი შედეგების მიხედვითაც პლანეტის საუკეთესო 100-მეტროსან მორბენლად ითვლებოდა. მაგრამ გაი საუკეთესოთა შორის მოსახსენებელი რომაა, ეს მან იუჯინშიც დაამტკიცა, სადაც ფინალურ გარბენში 9,68 წამი (!!!) დააქუხა და უსაინ ბოლტის სამი კვირის წინ დამყარებულ უახლეს მსოფლიო რეკორდს, არც მეტი არც ნაკლები, წამის ოთხი მეასედით გაასწრო!

მაგრამ გაის არ ჩაეთვალა რეკორდი სრულიად ობიექტური მიზეზის გამო — მან ეს საოცარი შედეგი ძლიერი ზურგქარის დახმარებით აჩვენა. იაააფ-ის რეგლამენტით სარეკორდოდ დაშვებულია ისეთ ქარში ნაჩვენევი შედეგები, რომლის სიჩქარეც 2 მეტრ-წამს არ აღემატება. იუჯინში კი გაის ზურგში 4,1 მერტ-წამიანი ქარი სცემდა და რაღა თქმა უნდა, მის 9,68 წამს რეკორდად არავინ მიიღებს, მაგრამ სამაგიეროდ თავად გაის მიიღებენ უფრო სერიოზულ მხედველობაში ოლიმპიური ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები — ასაფა პაუელი და უსაინ ბოლტი.

ვანო კობიაშვილი

რობლესი, ტეხედა, სავინე

დეირონ რობლესმა კიდევ ერთხელ დაუფრთხო ანგელოზები ჩინური მძლეოსნობის ერთადერთ იმედ ლიუ სიანს. 21 წლის კუბელმა თარჯმრბენმა სულ ახლახან ხომ თარჯიანი 110 მეტრია 12,67 წამი გაირბინა და ლიუს მსოფლიოს რეკორდი წარტაცა. ახლა კი კიდევ ერთი მძლავრი შედეგით ყველას და პირველ რიგში ხტუნია ჩინელს დაანახა, რომ საბრძოლოდაა განწყობილი და ფორმის პიკზე მყოფს პეკინში მხოლოდ ოქრო დაუკმაყოფილებს სპორტულ მოთხოვნილებას.

ამ უქმეებზე ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ლილში გამართულ სოლიდურ ტურნირზე რობლესმა 110 თარჯებიანი მეტრი 12,96 წამში გაიშლიგინა და ყველა გააოცა საკუთარი თავისა და პირადი მწვრთნელის ჩათვლით, რაკი ლა მანშის სრუტიდან მონაბერი სიო მორბენლებს სახეში სცემდა და სირბილს უძნელებდა.

„ჩემი პირველადი მიზანი, რა თქმა უნდა, ოლიმპიადისთვის სამზადისია. მე და ჩემმა მწვრთნელმა დავგეგმეთ, რომ პეკინამდე ოთხჯერ ჩამოვცდეთ 13 წამს. პირველი ხომ რეკორდის დროს მოხდა, მაგრამ ახლა მეორეზე არ ვიფქრობდი, მეგონა, ასე 13,15 ან 13,16 შედეგი მექნებოდა, ასე რომ, 12,96-მა სასიამოვნოდ გაგვაკვირვა — ამბობდა რეკორდსენი — ამას გარდა, ჩემი მიზანი იყო სტადიონის რეკორდის დამხობა, რომელიც ჩემს თანამემამულე ანიერ გარსიას ეკუთვნოდა (12,99 წამი). როგორც ხედავთ, ეს გეგმა გადაჭარბებითაც კი შევასრულე.“

ლილში თავი გამოიჩინა კუბელმა ქალმა თარჯმორბენალმაც — ანაი ტეხედამ 100 მეტრი 12,84 წამში მოთარჯა და მიუხედავად იმისა, რომ კომფორტული უპირატესობით მოიგო, თურმე მაინც უკმაყოფილო დარჩა, რადგან გულში კუბის რეკორდის ავტორობა ეწადა, ლილში ნაჩვენები შედეგით კი რეკორდს წამის თითქმის მეხუთედით ჩამორჩა.

ქალთა სამხტომში სეზონის რეკორდი გაითავისა კიდევ ერთმა კუბელმა, იარგელის სავინემ, ვინაც 15 მეტრს ორი სანტიმეტრით გადასცდა და ასევე კარგი პლაცდარმი შეიქმნა ოლიმპიადისთვის.

ლილშივე გახლდათ 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ექსჩემპიონი კიმ კოლინზი. კარიბის ზღვაში — არქიპელაგ-სახელმწიფო სენტ კიტსის და ნევისის პასპორტის მქონე კოლინზმა საფრანგთში 100 მეტრი 10,10 წამში მოიგო და ფრიადი უკმაყოფილება გამოხატა, აქაოდა, კარიერის საუკეთესო ფორმაში ვარ და წლეულს სამიდან ვერც ერთ გარბენში ვერ ჩამოვცდი 10 წამიან ნიშნულსო. ვამხილოთ და, ამაზე ბევრად უკეთ არც არასდროს დარბოდა. 2003 წელს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონი უსახური 10,03-წამიანი შედეგით გახდა, ისიც იმიტომ, რომ ფავორიტები ერთდროულად ჩაფლავდნენ. ასე რომ, მისი ნაუბარი საუკეთესო ფორმაში ყოფნაზე და მისთანებზე ყველამ ისე მიიღო, როგორც ვეტერანის ფუჭი წუწუნი.

ლილში საკმაოდ დაძაბული ბამოდგა ქალთა შეჯიბრი 100 მეტრში, ოღონდ შედეგები მაინცდამაინც გადასარევი არ ყოფილა. 100 მეტრი 11,30 წამში დაფარა ვირჯინიელმა ლავერან ჯონსმა და მხოლოდ 0,01 წამით აჯობა ევროპის ჩემპიონს, ბელგიელ კიმ გევარტს. 11,39 შედეგით მესამე იყო ბელარუსი ოლიმპიური ჩემპიონი იულია ნესტერენკო. ევროპის რეკორდსმენმა, უკვე მობერებულმა ფრანგმა კრისტი არონმა კი 11,47 წამში გადაკვეთა ფინიში და ლილში მეხუთე ადგილით გახსნა თავისი სამძლეოსნო სეზონი.

ვანო კობიაშვილი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ის ურჩევნია მამულსა...

მოხსნილი ჩემპიონის ბედნიერი 26

ფორმულა 1-ის ჩემპიონ მამა-შვილთა შორის ვილნევების წყვილი ერთადერთია, როცა საქმის გამგრძელებელმა მშობელზე უკეთეს შედეგს მიაღწია. ლეგენდარული, უზომოდ პოპულარული ჟილ ვილნევის დაღუპვიდან 15 წლის შემდეგ ჟაკმა შეძლო ის, რაც ვიცე-ჩემპიონ მამამისს იმქვეყნად განუხორციელებელ ოცნებად წაჰყვა — 1997 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. აქვე ვიტყვით, რომ ყველაზე წარმატებულია ჰილების დუეტი: მამა გრემის ორ ტიტულს (1962, 1968) „ჩემპიონის შვილმა ჩემპიონმა" — დეიმონმა, 1996 წელს თავისი გვირგვინიც მიუმატა

ჟაკ ვილნევი

კანადა

დაიბადა 1971 წლის 9 აპრილს სენ-ჟან სურ-რიშელიეში (კვებეკი)

სიმაღლე 168 სმ; წონა 67 კგ

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი

ცხოვრობს მონაკოსა და შვეიცარიაში

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1996-2006 წლებში

მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი

1996 წლის ვიცე-ჩემპიონი

164 რბოლა, 11 მოგება, 23 პოდიუმი, 13 პოულ-პოზიცია, 9 უსწრაფესი წრე, 235 ქულა

გუნდები: „უილიამსი", BAR, „რენო", „ზაუბერი", „BMW-ზაუბერი"

ეროვნული

ოქროვანი

ბალიანი

ბალიანი

**ბალი

უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი - 6 ივლისი. საპრიზო 14 883 120 J

კაცები
მეოთხე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **ლეიტონ ჰიუიტი** (20, ავსტრალია) 7:6 6:2 6:4; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — **ფერნანდო ვერდასკო** (22, ესპანეთი) 3:6 4:6 6:3 6:4 13:11; **ფელიციანო ლოპესი** (31, ესპანეთი) — **მარკოს ბაღდატისი** (10, კვიპროსი) 5:7 6:2 3:6 7:6 8:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — **მიხაილ იუჟნი** (17, რუსეთი) 6:3 6:3 6:1; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) 6:4 3:6 6:4 7:6; **არნო კლეზანი** (საფრანგეთი) — **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) 6:3 7:5 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **სტანისლას ვავრინკა** (13, შვეიცარია) 6:4 6:3 5:7 6:1; **ენდი მიურეი** (12, ბრიტანეთი) — **რიშარ გასკე** (8, საფრანგეთი) 5:7 3:6 7:6 6:2 6:4

ქალები
მეოთხე წრე

ჟი შენგი (ჩინეთი) — **აგნეს სეავაი** (15, უნგრეთი) 6:3 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (18, ჩეხეთი) — **ანა ჩაკვეტაძე** (8, რუსეთი) 4:6 7:6 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა** (14, პოლონეთი) — **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) 4:6 6:1 7:5; **სერენა უილიამსი** (6, აშშ) — **ბეტანი მატეკი** (აშშ) 6:3 6:3; **ელენა დემენტიევა** (5, რუსეთი) — **შაჰარ პირი** (24, ისრაელი) 6:3 6:3; **ნადია პეტროვა** (21, რუსეთი) — **ალა კუდრიავცევა** (რუსეთი) 6:1 6:4; **ვინუს უილიამსი** (7, აშშ) — **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი) 6:3 6:4; **ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) 6:3 6:2

ჰიუიტი ვერა, ფედერერს ნადალი თუ შეაჩერებს

ანჩიჩიდან ანჩიჩამდე როჯერმა 63 დათვალა

ლეტონ ჰიუიტი სახლისკენ ნაადრევად აიბარგა

საერთო აზრი ასეთი იყო — ლეიტონ ჰიუიტი უნდა ყოფილიყო ის ერთადერთი, რომელსაც ვითომდა როჯერ ფედერერი ფინალამდე არ უნდა მიეშვა. თავის სარეკორდო, ზედიზედ მეექვსე უიმბლდონზე დაგეშილი შვეიცარიელი ლონდონში უბრალოდ დაფრინავს და სათამაშო ბადის ზედა ნახევარში შემორჩენილი ყველა მეზოგნისადმი პატივისცემის მიუხედავად, მხოლოდ ოზი მოჩანდა იმ ძალად, რომელსაც წესით, არ უნდა შეშინებოდა ალპელის და მასთან ტოლსწორი ომი გაემართა.

ჯერ ერთი, თავად ლეიტონმა ბოლო კვირებში მართლაც მშვენიერი ფორმა აკრიფა და ლონდონშიც ძალიან ლირსეულად ჩოგნობდა. მეორეც, ოზს ფედერერის ყოფილი მწვრთნელი და ალპელისგან შარშან სწორედ ზედ უიმბლდონის წინ უპარდონოდ დათხოვილი ტონი როუჩი ჰყავს დამრიგებლად — ასე რომ, ამ მხცოვან ლეგენდასაც თავისი ანგარიში ჰქონდა „მხიარულ როჯერთან". აკი ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში, ავსტრალიის ღია პირველობის წინ ემუქრებოდა როჩი ჰიუიტით ყოფილ შეგირდს — ლეიტონი ის კაცია, რომელსაც შვეიცარიელი უნდა უფრთხოდესო.

მოკლედ, ამ მატჩს ინტრიგა არ აკლდა. თანაც ერთმანეთს უიმბლდონის ბოლო ჩემპიონები ხვდებოდნენ — ფედერერის ეპოქის დაწყებამდე ხომ ჰიუიტი ბოლო იყო, ვინაც აქ იპირველა.

და შეხვედრაც ისე დაიწყო, ჩოგბურთის ნებისმიერი მოყვარული რომ ინატრებდა. პირველ სეტში დაძაბული და თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, სადაც ჩოგბურთელები ქულა ქულაში მიყვებოდნენ ერთმანეთს და გოჯსაც არ თმობდნენ. ფედერერი ისევ თავისი ლაზათიანი ჩოგბურთითა და ლამაზი კომბინაციებითა ცდილობდა ფონს გასვლას, ჰიუიტი კი ბრძოლისუნარიანობისა და კორტზე უსწრაფესი მოძრაობის ხარჯზე იკრეფდა ქულებს. ამ ყველაფრის ლოგიკურ დასასრულად ტაიბრეიკი იქცა, სადაც სასწორი ისევ კარგა ხანს თანაბრად ქანაობდა, მაგრამ საბოლოოდ შვეიცარიელის კლასმა და კოლოსალურმა თვითრწმენამ გადაწონა და როჯერმაც მართალია, მხოლოდ მეოთხე სეტპოინტიდან, მაგრამ პარტია მაინც სათავისოდ დაასრულა.

ამ საჩოგბურთო ლატარიაში და მთლიანად მატჩშიც ალპელს ძალიან წაადგა სტაბილური მოწოდება — ისე ამ კუთხით ფედერერი წინა შეხვედრებშიც გამოირჩეოდა. გუშინ კი შვეიცარიელმა 21-ჯერ ჩააეისა და ამან დიდი დახმარებაც გაუწია. ნამატჩევს ჰიუიტმა სწორედ ამას გაუსვა ხაზი:

„უჩვეულოდ ძლიერად აწოდებდა. ამით ხელიდან გამომაცალა ყველა ის მინიმალური შანსი, რაც კი მქონდა".

სამწუხაროდ, პირველი სეტი გამონაკლისი გამოდგა, რადგანაც შემდეგ ალპელმა უკვე მთლიანად ხელთ იგდო მატჩის სადავეები და იოლად მიიყვანა გამარჯვებამდე. იმასაც ვერ ვიტყვით ჰიუიტმა ყურება ჩამოყარაო — ავსტრალიელი პატიოსნად ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ როცა ფედერერი ჩაირთვება ხოლმე და ისე ჩოგნაობს, როგორც გუშინ, მისი გაჩერება თითქმის შეუძლებელი ხდება.

„პირველი სეტი ძალიან დაძაბული გამოდგა და მისი წაგებაც თავისუფლად შემეძლო. თუმც მაინც მე მოვიგე და ამან დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა მომცა. საკუთარი თამაშით კი ნამდვილად კმაყოფილი ვარ" — ამბობდა ნამატჩევს ფედერერი.

ალპელს შემდეგ მეტოქედ მარიო ანჩიჩი ჰყავს — ბოლო ჩოგბურთელი, რომელმაც „მხიარული როჯერის" ბალახზე დამარცხება შეძლო. ეს 2002 წელს მოხდა, უიმბლდონის პირველ წრეში. მას შემდეგ კი ალპელს მწვანედ მოხასხასე მინდვრებზე ვერავინ მორევია და აკი ზედიზედ 63 მატჩი მოიგო კიდეც.

თავად ანჩიჩმა გუშინ მინი-სასწაული ჩაიდინა და ფერნანდო ვერდასკოს თითქმის წაგებული მატჩი შემოუტრიალა. ესპანელმა გაცილებით ძლიერად დაიწყო და პირველ ორ სეტში ახმახი ხორვატი სრულიად უშანსოდ დატოვა. აქ პირნეელი აშკარად მოეშვა და ანჩიჩს მატჩის რიტმის პოვნის საშუალება მისცა, რაც მისთვის დამღუპველი გამოდგა — ბალკანელმა შეძლო ჩამორჩენის აღმოფხვრა და გადამწყვეტი, ეპიკური სეტის 24-ე (!!!) გეიმში მაინც გატეხა ვერდასკო.

ვითომ განმეორდება ექვსი წლის წინანდელი? თქვენი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ კი ამის ნაკლებად გვჯერა. აბა, სად მაშინდელი და სად ახლანდელი ფედერერი. თანაც ალპელი ამტკიცებს, მაშინ ანჩიჩი სათანადოდ ვერ შევაფასეო:

„ახლა იგივეს ნამდვილად არ გავიმეორებ. ექვსი წლის წინ კი ნამდვილად შოკში ჩამაგდო თავისი სათამაშო სტილით. თუმც ახლა ისე სწრაფად ველარ გამოდის ბადესთან, რაც დამატებით უპირატესობას მომცემს. მოკლედ, მატჩისთვის ასი პროცენტით მზად ვიქნები".

ჩვენც აგრე გვგონია, რადგანაც ამ უიმბლდონზე მხოლოდ ერთი კაცი მოჩანს შვეიცარიელის გაკავება რომ ხელეწიფება — და გუშინ მან თავისი თამაშით დაამტკიცა, რომ მზად არის ფედერერს გამოწვევა ესროლოს. რაღა თქმა უნდა, საუბარი რაფაელ ნადალზე გვაქვს, რომელმაც ასევე ძალიან შთამბეჭდავი შოუ მოაწყო და თავისთვის ძალიან უხერხული მეტოქე მიხაილ იუჟნი დამაჯერებლად მიჩოგნა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დასაწყისში ესპანელმა ფეხი ამოიბრუნა და ვერ გადაეწყვიტა, კორტზე დაბრუნება ღირდა თუ არა.

ექიმებმა კორტზე ლამის კონსილიუმი მოაწყვეს იმის შეახებ, შეეძლო რაფას მატჩის გაგრძელება თუ არა და საბოლოოდ ესპანელს მწვანე შუქიც აუნთეს. მალიორკელიც თანდათან გახურდა და კორტზე ისეთი სისწარფით ამოძრავდა, ტრავმა აღარავის გახსენებია — რაფამ საათსა და ორმოც წუთში მოამთავრა საქმე.

ქალებში კი ყოველ ახალ სათამაშო დღესთან ერთად სულ უფრო გარდაუვლად მოჩანს ფინალში შავდა უილიამსების შეხვედრა. ამერიკელები წინ მიიწევენ, მათი პოტენციური მეტოქეები კი პანტა-პუნტით ვარდებიან.

გუშინ უიღბლოთა სიას ელენა იანკოვიჩი და სვეტლანა კუზნეცოვა შეემატნენ. პირველის გავარდნა გასაკვირი ნამდვილად არ გახლავთ — სერბმა ხომ წინა შეხვედრაში სერიოზული ტრავმა მიიღო და მაშინაც ძლივს გაძლო კორტზე ბოლომდე. ელენა იმედოვნებდა, რომ უქმედ გამოცხადებული კვირა დღის განმავლობაში მოასწრებდა ფეხზე დადგომას, მაგრამ გუშინ გამოჩნდა, რომ სერბი აშკარად არ იყო მზად სათამაშოდ. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ვეტერანმა ტამარინ ტანასუგარნმა პირწმინდად დაჩაგრა მსოფლიოს მეორე ნომერი და მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო.

კუზნეცოვამ კი ყველაფერი თავის თავს დააბრალოს, რადგანაც აგნუშკა რადვანსკასთან შეხვედრაში ყველა კოზირი ხელთ ეჭყრა — გადამწყვეტ სეტში 4:1 მიჰყავდა და ამ დროისთვის თითქოს წელში ჰყავდა მეტოქე გატეხილი. თუმც პოლონელმა არ აპატია რუსს დროზე ადრე მოშვებდა და მატჩის დარჩენილი ნაწილი 6:1 მოუგო, რითაც მეოხთედ ფინალის საგზური გაინაღდა.

აი, შავდებმა კი ძალიან ადვილად იხეირეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე სათამაშო კვირის დაწყებასთან ერთად ამერიკელებმა აშკარად მოუმატეს — ისინი თანდათან შევიდნენ ტონუსში თუ აქამდე კიდევ ეტყობოდათ სისუსტეები, ახლა საერთოდ, მეტოქეთა ბრდღვნის ხასიათზე არიან. გუშინაც ეგრე იყო, როცა ვინუსს საათზე ცოტა მეტი დასჭირდა ახალგაზრდა ალისა კლეიბანოვას წასაქცევად, სერენამ კი ამდენიც არ მოანდომა თანამემამულე ბეტანი მატეკის გასილაქებას.

ყველაზე საინტერესო და დაძაბული კი ნიკოლ ვაიდიშოვასა და ანა ჩაკვეტაძის დაპირისპირება გამოდგა. უკეთესად რუსმა დაიწყო და სეტი მოიგო კიდეც, მაგრამ მომდევნო პარტიის მიწურულს ისტერიკა დაემართა და უაზროდ გაანიავა შანსები. ვაიდიშოვამაც ამით მშვენივრად ისარგებლა და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი გადამწყვეტ სეტშიც მალევე მოიპოვა უპირატესობა და ის ბოლომდე შეინარჩუნა კიდეც.

ძახა ლომაჯვილი

კიუდო

ბოლო ოლიმპიელის ვინაობა ვერც თურქეთში გაირკვა

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიადის საგზურის მფლობელი გასულ უქმეებზე სტამბოლში ჩატარებულმა ტურნირმაც ვერ გამოარკვია. არადა, შოთა ხაბარელი აპირებდა, ამ წონაში გიორგი ბაინდურაშვილსა და საბა გავაშელიშვილს შორის არჩევანი თურქული შეჯიბრების შემდეგ გაეკეთებინა. ისე მოხდა, რომ საბამაც და გიორგიმაც მესამე ადგილი დაიკავეს და ნაკრების სამწვრთნელო შტაბს საქმე საჭოჭმანოდ გაუხადეს. აღსანიშნავია, რომ თურქეთში ორივე სპორტსმენმა თითო-თითო შეხვედრა წააგო ერთსა და იმავე მეტოქესთან. ჩვენების მძლეველი რუსი ივან ნიფონტონოვი გახლდათ.

საერთო ჯამში საქართველოს ნაკრებმა „ბოსფორის თასზე" მედლები უხვად მოიხვეჭა. ვაჟებმა და ქალებმა ერთად 4 ოქროს, ერთი ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოინაგრეს. 66 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი ნესტორ ხერგიანი გახდა. შეგახსენებთ, რომ უბერებელი ნესტორი საერთოდ 60 კგ-ში გამოდის ხოლმე, მაგრამ ამჯერად თავისზე მძიმეთა შორისაც იმარჯვა. ასევე ჩვეულებრივზე ერთი წონით ზემოთ გამოვიდა ზაზა კედელაშვილი. მანაც ოქროს მედალი მოიგო. ქართველ გულშემატკივრებს კვლავაც აოცებს ვარლამ ლიპარტელიანი. თინეიჯერი ტალანტი ტურნირს ტურნირზე იგებს. 90 კგ-ში ლიპარტელიანს ვერც თურქეთში შეეცილნენ ოქროს მედალს. მძიმეწონოსანი ლაგა გუჯეჯიანი კი ბრინჯაოს დაეუფლა.

სამწუხაროდ, მედლების გარეშე დარჩნენ დავით სვიმონიშვილი (60კგ), დავით ქევხიშვილი (81კგ), დავით ლორიაშვილი (90კგ), ლევან ჟორჟოლიანი და ირაკლი ცირეკიძე (ორივე 100კგ).

სტამბოლში ქართველმა მანდილოსნებმაც მოიპოვეს მედლები. 78 კგ-ში ნათია ოძელაშვილმა იჩემპიონა, 63 კგ-ში კი ვერცხლის მედალი თინათინ ქულესაშვილმა დაისაკუთრა.

ზურაბ მიგრიაული

ფელპსს ქუსლებზე დააბიჯეს


მაიკლ ფელპსი

ამერიკელმა მოცურავეებმა კიდევ ერთხელ დააფრთხეს ევროპელი და ავსტრალიელი კონკურენტები. ისინი ზედ ოლიმპიადის წინ მართავენ ქვეყნის ჩემპიონატს და ყველა საცურაო დისციპლინაში იმხელა კონკურენციას ებრძვიან, რომ მათი ცურვა ხშირად მსოფლიო რეკორდებს უტოლდება.

კვირას ორი რეკორდი დამყარდა — ქალთა და კაცთა 400 მეტრ ინდივიდუალურ კომპლექსურ გაცურვაში (კომპლექსური შეიცავს ოთხივე სტილით ცურვას). ერთ-ერთი რეკორდის ავტორი — რა გასაკვირია და — მაიკლ ფელპსი გახლავთ, რომელიც კომპლექსურის ოსტატად ითვლება და ძველი რეკორდიც მისი გახლდათ. ახლა მან ბატერფლაის, გულაღმა, ბრასის და თავისუფალი სტილების მონაცვლეობით ცურვაში 4 წუთსა და 5,25 წამში დაფარა 400 მეტრი და თითქმის წამი მოაკლო ძველ რეკორდს.

„ყველაფერი აუზში დავტოვე, რაღაც არანორმალიური მონდომებით ვიცურავე — ქოშინით ამბობდა ფელპსი ნაპირზე ამოსვლის შემდეგ — არა მგონია, ასე სწრაფი ვყოფილიყავი, რომ არა ჩემი მეგობარი რაიან ლოჩტე, ვინაც სულ უკან მომდევდა და სულ უფრო და უფრო სწრაფად ცურვას მაიძულებდა. ის მრთლაც სასწაულად მებრძოლია და პეკინში თუ ვინმესი შემეშინდება, მხოლოდ მისი. სიმართლეს გაგიმხელთ, მასაც ისევე შეუძლია რეკორდის დამხობა, როგორც მე, მაგრამ დღეს მე მართლა კარგ ფეხზე ავდექი. ფინიშის მერე რომ ამოვყვინთე და ხალხის აპლოდისმენტები გავიგონე, მაშინ მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდა.“

ფელპსს ტაშით აჯილდოვებდა 12 ათასი მაყურებელი, რომელიც ამერიკაში სპორტის სხვა სახეობებში, მაგალითად ბეისბოლში და ამერიკულ ფეხბურთში, ან თუნდაც კალათბურთში, იქნებ შეთხელებულ მაყურებელს ნიშნავდეს, მაგრამ ცურვაში კი ნამდვილად გადაჭედავს ტრიბუნებს.

ხალხი ჯერ არ დამშვიდებულიყო ფელპსის სარეკორდო გამოსვლის შემდეგ, რომ კიდევ ერთი რეკორდი გამოცხვა, ამ ჯერზე ქალებს შორის 400 მეტრ კომპლექსურში. კეტი ჰოფი ქალთა ნახევარგანაკვეთში დაახლოებით იმ მასშტაბის მოცურავეა, რამხელაც ფელპსი და აი შედეგიც. 19 წლის ჰოფმა ეს დისციპლინა 4.31,12 შედეგით მოიგო და ავსტრალიელ სტეფანი რაისს მარტში დამყარებული მსოფლიო რეკორდი ამერიკული ტაშის თანხლებით ჩამოართვა.

ვანო კოგიაშვილი

დორტმუნდის სუპერტურნირი. 28 ივნისი-6 ივლისი

გერმანელმა რუსს გრიუნფელდი დააჯახა

I ტური

იან გუსტაფსონი (გერმანია)	0,5:0,5	ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)
არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	0,5:0,5	იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი)
შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	პეტერ ლეკო (უნგრეთი)
ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	0,5:0,5	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)

II ტური

იან გუსტაფსონი (გერმანია)	1:0	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)
ვლადიმირ კრამნიკი (გერმანია)	1:0	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)
პეტერ ლეკო (უნგრეთი)	1:0	ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)
იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი)	0,5:0,5	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)

1. იან გუსტაფსონი	1,5
2. ვლადიმირ კრამნიკი	1,5
3. პეტერ ლეკო	1,5
4. შაჰრიარ მამედიაროვი	1
5. იან ნეპომნიაშჩი	1
6. არკადი ნაიდიჩი	0,5
7. ვასილ ივანჩუკი	0,5
8. ლუკ ვან ველი	0,5

დორტმუნდში რიგით 36-ე სუპერტურნირი დიდი ზარზეიმით გაიხსნა. ცერემონიალს გერმანიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი და ქალაქის მერი დაესწრნენ, რომლებმაც ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს და მოთამაშეებს წარმატებები უსურვეს.

პირველ ტურში ყველა პარტია ყაიმით დასრულდა. ტურნირის ფავორიტი ვლადიმირ კრამნიკი იან გუსტაფსონს 29-ე სვლაზე დაუზავდა და მნიშვნელოვანი ნახევარი ქულა დაკარგა.

„თამაში წინ ბევრი ვიფიქრე და რუსს გრიუნფელდის დაცვა შევთავაზე. კრამნიკს ეს დებიუტი დიდი ხანია არ გამოეყენებინა, ამიტომაც ბრძოლა გაუჭირდა და ყაიმს დათანხმდა“ — განაცხადა მასპინძელმა თამაშის შემდეგ.

პარტია მოჭადრაკეებმა აქტიურად დაიწყეს, მძიმე ფიგურები ლაზიერის ფლანგზე გადასხეს და გაცვლებს მიმართეს. კრამნიკი a ხაზზე პაიკის გაყვანას შეუდგა, თუმც გუსტაფსონი ეტლით დაედევნა და პარტიაც დაასრულებინა.

ყველაზე ბოლოს ვასილ ივანჩუკისა და ლუკ ვან ველის შეხვედრა დასრულდა. ამ მატჩში უკრაინელი ფავორიტად იყო მიჩნეული, თუმც ჰოლანდიელის წინააღმდეგობა ვერ გატეხა და პარტია 39-ე სვლაზე ზავს მოაწერა ხელი.

პირველ ტურში იან გუსტაფსონმა ვლადიმირ კრამნიკს ნახევარი ქულა დასცინცლა, მეორეში კი თანამემულე არკადი ნაიდიჩი დაამარცხა და პირველ ადგილზეც მოექცა. არადა, მას ტურნირზე ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვს და სპეციალისტები აუტსაიდერად მიიჩნევდნენ.

გერმანელებმა დებიუტში ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს. ნაიდიჩმა ცენტრში პაიკები გამოუშვა, მეტოქეს ორი მეომარი გაუცვალა და იერიშში კუ-ლაზიერის წყვილი ჩართო. გუსტაფსონმა მტერს ეტლები დაახვედრა, საპასუხოდ ხელმწიფის ფლანგიდან დედოფლით დაარტყა და 23-ე სვლაზე იმარჯვა.

კრანმიკმა კი ლუკ ვან ველი 29-ე სვლაზე დააშამათა და ლიდერთა მარაქაში გაერია. რუსმა ცენტრში პაიკები სოლისებურად განალაგა, ხელმწიფის ფლანგზე მხედარ-ლაზიერი გამოუშვა და გაცვლები დაიწყო. კრამნიკმა მოიერიშეებს კუ მიახმარა, შავ მეფეს სამოძრაო გზები შეუხლუდა და ალამიც დააშვებინა.

ლაზა გეგეჭკორი



კეისი სტოუნერი

სტოუნერის მიჯრით ორი

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა კეისი სტოუნერმა ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო და გენერალური კლასიფიკაციის ლიდერთან ჩამორჩენა 29 ქულამდე შეამცირა. ლიდერი კი დანიელ პედროსაა, რომელმაც ჰოლანდიურ ასენში მეორემ უწია ფინიშს და ისარგებლა რა მრავალგზის ჩემპიონ ვალენტინო როსის უხეირო გამოსვლით, ამ უკანასკნელს პირველობა ჩამოართვა.

ასენში წვიმიანი და მოჟამული ამინდი იყო და „უმცროს“, 125 კუბური სანტიმეტრის ძრავების მქონე მოტოების კლასში მრბოლებმა მხოლოდ 5 წრე გაიარეს და რადგანაც შემდეგ კოკისპირულად გაწვიმდა, გამარჯებული ამ 5 წრის შედეგებით გამოავლინეს. შემოკლებულ გზაზე პირველობა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, უნგრელ გაბორ ტალმაშის დარჩა, რომელმაც წლეულს პირველი გამარჯვება იზეიმა და საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზე აინაცვლა.

„საშუალო“, 250-იანთა კლასში საუკეთესო ესპანელი ალვარო ბაუტისტა იყო და გენერალურ კლასიფიკაციაში მანაც მეოთხე საფეხურზე მოიკალათა.

თუმცა, დავუბრუნდეთ „სამეფო“, მოტოჯიპის კლასს და სტოუნერს, რომელმაც წლევანდელი სეზონი გამარჯვებით კი დაიწყო, მაგრამ შემდეგ გვარიანად აურია და ბოლო ეტაპებზე წარმატებითღა გამოასწორა მდგომარეობა.

ასენში სტოუნერი შეუდარებელი იყო. მან კვალიფიკაციაც მოიგო და რბოლაშიც, პირველივე წრეზე რომ გაიჭრა წინ, მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა. პედროსა ავსტრალიელს მთელი 11 წამით ჩამორჩა, მესამე-მეოთხე ადგილები კი ამერიკელებმა, კოლინ ედვარდსმა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ნიკი ჰეიდენმა დაიკავეს.

ზედიზედ შვიდი პოდიუმის შემდეგ (აქედან სამჯერ პირველი იყო) მხოლოდ მე-11 ადგილს დასჯერდა ვალენტინო როსი და, როგორც ვთქვით, ეს წარუმატებლობა „დოქტორს“ პირველობის დაკარგვად დაუჯდა. პედროსა კი კვლავაც ზესტაბილურია — წლევანდელ 9 რბოლაში 2 გამარჯვება, 3-3 მეორე და მესამე ადგილი და მხოლოდ ერთი, იტალიური რბოლა პოდიუმს მიღმა, მეოთხე ადგილზე. რაღაც გასაკვირია, რომ საერთო ჩათვლას სწორედ ესპანელი ლიდერობს, თუმც როსი მას ოდენ 4 ქულით ჩამორჩება და სტოუნერიც ნელ-ნელა უახლოვდება მოწინავეებს.

ძახა ლომაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში. IX ეტაპი. ასენი. ჰოლანდია. 29 ივნისი

მოტო GP (26 წრე)

1. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“)	42 წთ 12,337 წმ
2. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“)	42.23,647
3. კოლინ ედვარდსი (აშშ, „იამაჰა“)	42.29,462
4. ნიკი ჰეიდენი (აშშ, „ჰონდა“)	42.32,814
5. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა“)	42.39,683

საერთო ჩათვლა: 1. პედროსა 171 ქულა; 2. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“) 167; 3. სტოუნერი 142; 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) 114; 5. ედვარდსი 98

250 კბ/სმ (22 წრე)

1. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია“)	40 წთ 54,117 წმ
2. ტომას ლუტჰი (შვეიცარია, „აპრილია“)	40.58,714
3. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა“)	41.00,120
4. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია“)	41.03,151
5. ჰექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია“)	41.03,196

საერთო ჩათვლა: 1. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) 140 ქულა; 2. სიმონჩელი 139; 3. დებონი 114; 4. ბაუტისტა 102; 5. მატია პაზინი (იტალია, „აპრილია“) 98

125 კბ/სმ (5 წრე)

1. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია“)	9 წთ 04,520 წმ
2. ხუან ოლივე (ესპანეთი, „დერბი“)	9.04,648
3. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“)	9.04,775
4. სანდრო კორტესი (გერმანია, „აპრილია“)	9.04,860
5. ბრედლი სმითი (ბრიტანეთი, „აპრილია“)	9.04,945

საერთო ჩათვლა: 1. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი“) 141 ქულა; 2. კორსი 125; 3. ოლივე 94; 4. ტალმაში 93; 5. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“) 82

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფორეოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბელედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge